ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

კერძო სამართლის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

ლიზინგის მომწესრიგებელი ნორმები და მათი გამოყენების სასამართლო პრაქტიკა

თემის ავტორი:ნანა კინწურაშვილი

საკონტაქტო მონაცემები:

ტელ: 598 50 90 50 . ელ-ფოსტა:kintsurashvilinana@gmail.com

თემის ხელმძღვანელი: ბესარიონ ზოიძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე

თბილისი

2019

აბრევიატურათა განმარტება

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.ი. -ესე იგი

ე.წ.-ეგრეთ წოდებული

იხ.- იხილეთ

რედ.-რედაქტორი

სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სხვ.- სხვა

შდრ-შეადარეთ

სარჩევი

I. შესავალი 5

II. ლიზინგის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების მსოფლიო გამოცდილება 7

III.სალიზინგო ურთიერთობათა მომწესრიგებელი კანონმდებლობა 9

3.1 ლიზინგის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები 9

3.1.1 ოტავის კონვენცია 10

3.1.2. რომის მოდელური კანონი 11

3.2 ლიზინგის მოწესრიგება ქართული სამართლის მიხედვით 12

IV. ლიზინგის მიმართება სხვა სამართლებრივ გარიგებებთან და ლიზინგის სესხად განმარტების პრობლემა 14

4.1 ლიზინგის სამართლებრივი ბუნება 14

4.2. ქირავნობისა და იჯარის ურთიერთმიმართება ლიზინგის ხელშეკრულებასთან და მათი გამიჯვნის კრიტერიუმები 16

4.2.1.სამმხრივი ურთიერთობის არსებობა სალიზინგო სამართალში და ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის შეძენის მიზნობრიობა 18

4.2.2 უფლება-მოვალეობათა მოცულობა 18

4.2.3. Bright-line ტესტი 19

4.2.4.Economic realities ტესტი 20

4.2.5. ლიზინგის ხელშეკრულების ვადა 20

4.2.6. ლიზინგის საზღაური და შესყიდვის ფასი 21

4.3.განვადებით ნასყიდობის მიმართება ლიზინგის ხელშეკრულებასთან 21

4.4. ლიზინგის ხელშეკრულებისა და ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით შედარება 23

4.5. ლიზინგისა და საბანკო კრედიტის ურთიერთმიმართება 23

4.6 ლიზინგის სესხად განმარტების პრობლემა 24

4.6.1.ლიზინგის ხელშეკრულების არაერთგვაროვანი ბუნება 25

4.6.2.ლიზინგის საგნის გაიგივება რეგისტრირებულ გირავნობასთან 25

4.6.3 ლიზინგის საგნის გამოსყიდვა და ლიზინგის გამცემის წლიური საპროცენტო სარგებელი 27

4.6.4.ხელშეკრულების კომერციული მიზანი 29

V. ლიზინგის სახეები 30

5.1. საოპერაციო ლიზინგი (operating lease) 31

5.2. ფინანსური ლიზინგი (finance lease) 32

5.3. დაბრუნებითი, იგივე უკულიზინგი(sale and leaseback) 32
5.4 ლიზინგის სხვა სახეები 33
VI.ლიზინგის ხელშეკრულების საგანი დ ალიზინგის უფლების რეგისტრაცია..... 37
6.1 მოძრავი ქონება , როგორც ლიზინგის საგანი 38
6.2. უძრავი ქონება ,როგორც ლიზინგის საგანი..... 40
6.3.ლიზინგის უფლების რეგისტრაცია 41
6.3.1. უძრავ ქონებაზე ლიზნგის უფლების რეგისტრაცია 41
6.3.2.მოძრავი ქონებზე ლიზინგის უფლების რეგისტრაცია..... 42
6.4.მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებად საგანზე ტექნიკური დათვალიერების ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა 45
VII.ხელშეკრულების მხარეთა უფლება მოვალეობები და ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები 47
7.1.ლიზინგის მიმღების უფლებები მიმწოდებლის მიმართ..... 47
7.2. ლიზინგის საგნის შემთხვევითი დაღუპვისა და დაზიანების ტვირთის გადანაწილება..... 51
7.3 ლიზინგის მიმღების ვალდებულებები..... 52
7.4.ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა..... 52
7.4.1 ლიზინგის გამცემის უფლება მოშალოს ხელშეკრულება 52
7.4.2 ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა ლიზინგის მიმღების მიერ..... 53
VIII.ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნება და მისი საკანონმდებლო რეგულაცია..... 57
8.1.ლიზინგის საგნის დაბრუნება სალიზინგო მოწმობის საფუძველზე..... 57
8.2. ლიზინგის მფლობელობაში დაბრუნება სასამართლოსთვის მიმართის გზით 58
8.2.1. სახელწიფო ბაჟის განსაზღვრის საკითხი..... 59
IX.დასკვნა 63
X.ბიბლიოგრაფია..... 65
ნორმატიული აქტები:..... 65

I. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ლიზინგის მომწესრიგებელი ნორმების და მისი გამოყენების სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვის საფუძველზე, პრაქტიკულ სირთულეთა გაანალიზების გზით, ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

ლიზინგი სამოქალაქო კოდექსისთვის ერთ-ერთი ნოვაციური ინსტიტუტია, რომელიც ევროპულ სამართალში საერთო სამართლიდან შემოვიდა და ქართულ სამართალშიც დაიმკვიდრა ადგილი. აღნიშნული ნაშრომი იძლევა შესაძლებლობას, მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ლიზინგის არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული სინამდვილის შესახებ. საკვლევ თემაში განხორციელდება უპირატესად ქართული და საერთაშორისო ნორმების,პრაქტიკის გაანალიზება, რაც მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის ლიზინგთან დაკავშირებით როგორც სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებთან, ასევე ზოგადად ლიზინგის ქართულ საკანონმდებლო მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მისი გაცნობით მკითხველი მიიღებს ინფორმაციას ყველა იმ შესაძლო დაბრკოლებებზე, რომელიც დაკავშირებულია ქართულ სამართალში ლიზინგის პრაქტიკულ გამოყენებასთან.

საკვლევი თემის აქტუალურობა განპირობებულია მისი პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ლიზინგთან დაკავშირებული როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხარვეზების გამოვლენა, რათა ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა, რაც თავად ამ ინსტიტუტის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზრისთვის სულ უფროდაუფრო აქტუალურია დაფინანსების ისეთი ალტერნატიული გზის გამოყენება, როგორიცაა ლიზინგი. შესაბამისად, გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ უფრო ხშირი იქნება ლიზინგთან დაკავშირებით სასამართლოსადმი მიმართვიანობა და სასამართლო დავები. ვინაიდან, ლიზინგის მიმართულებით ქართული სასამართლო პრაქტიკა მწირია და მხოლოდ ახლა იძენს აქტუალურობას, ხშირად ფიქსირდება პრაქტიკაში არაერთგვაროვანი მიდგომა ლიზინგთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ამიტომაც ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკის გაანალიზება, ხარვეზების გამოვლენა. ასევე არც თუ ისე მდიდარია ლიზინგთან დაკავშირებული ქართული სამეცნიერო ლიტერატურა, რაც ამ თემას აქტუალობას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს.

ნაშრომი შეეხება ქართული კანონდებლობისა და პრაქტიკის მიმართებას საერთაშორისოდ აღიარებულ ლიზინგის პრინციპებთან დაკავშირებით, განხილულია ის საკმაოდ რევოლუციური გზა, რაც ლიზინგმა გაიარა, რათა ამჟამინდელი ფორმით ჩამოყალიბებულიყო. ის მსგავსება -განსხვავები და გამიჯვნის კრიტერიუმები, რომელიც ლიზინგის ხელშეკრულებას სხვა ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებებთან აკავშირებს. რადგან ქართული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ არათანმიმდევრულია, სასამართლოს მიერ ლიზინგის არსის არასწორად გაგება ყველაზე მეტად თავს იჩენს ლიზინგის სესხად კვალიფიკაციის შემთხვევებში, რომელთანაც დაკავშირებული პრაქტიკული მაგალითები მოყვანილია ქვემომდებარე ნაშრომში.

მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს წარმოადგენს ლიზინგის ობიექტთან და მასზე ლიზინგის უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ქართული რეგულაციები. ნაშრომში ყურადღება გამახვილდება თუ რა განსხვავებას გვთავაზობს კანონმდებელი საჯარო რეესტრში და მეორეს მხრივ,შინაგან საქმეთა სამინისტოში რეგისტრირებად ლიზინგის უფლებასთან დაკავშირებით. გაანალიზებული იქნება ლიზინგის რეგისტრაციის სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შემთხვევები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი რისკები. განხილული იქნება ლიზინგის სახეები და მათი გამიჯვნის პრაქტიკულ დანიშნულება, ხელშეკრულების მხარეთა უფლებრივი მდგომაროება და მასთან დაკავშირებული როგორც ქართულ,ისე უცხოური სასამართლო პრაქტიკას. ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების უფლებრივი მდგომარეობის შედარების საფუძველზე გაირკვევა რამდენად დაბალანსებულია მხარეთა ინტერესები, ეს საკითხი კი განსაკუთრებით თავს იჩენს საგნის ნაკლის გამოპასუხისმგებელი პირის განსაზღვრისა და ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა სამართლებრივი გზები არსებობს ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. გაანალიზებული იქნება სასამართლოს ახალი პრაქტიკა სახელმწიფო ბაჟთან და მისი განსაზღვრის საფუძვლებთან დაკავშირებით და ა.შ. ნაშრომში უახლესი სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვის შედეგად განხორციელდება პრობლემური ასპექტების გამოკვეთა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა მათი აღმოფხვრის მიზნით.

კვლევისას გამოყენებულია შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეთოდი,ასევე ლოგიკური,ისტორიული, ნორმატიულ-დოგმატური,

სისტემური კვლევის მეთოდები. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა უმეტესად ეფუძნება ქართულ პრაქტიკას.

II. ლიზინგის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების მსოფლიო გამოცდილება

თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საზოგადოებაში წამოჭრილი საკითხების დარეგულირებაში სახელშეკრულებო სამართალს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. საზოგადოებისა და სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობების ევოლუციამ დღის წესრიგში დააყენა ახალი სახელშეკრულებო ნორმების ფორმირების აუცილებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიზინგის წარმოშობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დასკვნები არსებობს. ეკონომისტები მის კვალს პოულობენ ძველი შუმერების სახელმწიფოში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში და ხამურაბის კანონებში(ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1792-1750). ისტორიკოსთან ნაწილის აზით არისტოტეტელეც კი შეეხო ლიზინგის შესახებ იდეას ტრაქტატში "სიმდიდრის არსი არის გამოყენება და არა საკუთრების უფლება".[1] თანამედროვე ლიზინგის პროტოტიპს ხედავდნენ ასევე ძველი ფინიკილების საქმიანობაში, როდესაც ვაჭრობის მიზნით ქირაობდნენ გემებს.მე-11 საუკუნის ვენეციაში ასევე ხორციელდებოდა ლიზინგური გარიგების მსგავსი ოპერაციები, კერძოდ, გემის მეპატრონეთა მიერ ხდებოდა ძვირადღირებული ღუზების გაქირავება ვაჭრებზე, ხოლო შორეული მოგზაურობის დასრულების შემდგომ, ღუზები უბრუნდებოდათ მათ მფლობელებს. ამასთან, 1284 წელს შექმნილი უელსის წესდება გვამცნობს, რომ დიდ ბრიტანეთშიც მიმდინარეობდა ლიზინგის მსგავსი ოპერაციები, კერძოდ ლენდლორდები მეტად მძიმე პირობებით აქირავებდნენ მიწებს ლიზ გოლდებზე.[2]ასევე თვლიან, რომ იუსტინიანეს ინსტიტუციებში (483-465წ.) განხორციელდა იმ ნორმათა კლასიფიკაცია, რომელიც აწესრიგებდა სალიზინგო ურთიერთობებს. თუმცა ეს მოსაზრებები არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ლიზინგად მიიჩნევდენ იმ ურთიერთოებებს, რომელიც სინამდვილეში იჯარას წარმოადგენს.

[1]ღუდუშაური ა., ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი , სამართალი, N11-12, 1993,53.

[2]კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, 50. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000390/vasil%20kikutadze%2C%20disert..pdf>[07.04. 2019]

აღნიშნული არასწორი მოსაზრების ჩამოყალიბება კი განაპირობა ლიზინგისა და იჯარის გაიგივებამ, ლიზინგის არსის არასწორმა გაგებამ.[3]
კლასიკური ლიზინგი, როგორც ხელშეკრულების დამოუკიდებელი სახე წარმოიშვა მე-19 საუკუნის 50-იანი წლების ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მე-20 საუკუნის დასაწყისში. იგი საქმიან სამეურნეო ბრუნვაში პირველად 1877 წელს გამოიყენეს, როდესაც ამერიკულმა სატელეფონო კომპანია“ ბელმა“ დაიწყო ტელეფონის აპარატების გადაცემა დროებით სარგებლობაში, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ.[4] ტერმინი „ლიზინგი“ ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და ქონების განსაზღვრული ვადით, დროებით სარგებლობაში გადაცემის აღმნიშვნელი ტერმინია. მსგავსი შინაარსობრივი დატვირთა აქვს მის გერმანულ (mitvertrag Kredit), ესპანურ (arrendamieto financiero),იტალიურ (credito arrendatiento) შესატყვისებს, თუმცა ამ ქვეყნებიც კი ლიზინგის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრებულია „Leasing"-ი.[5] აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებას ხელი შეუწყო ამერიკაში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, რის გამოც მეწარმეები იძულებულები გახდნენ პერიოდულად განეახლებინათ საწარმოო საშუალებები. მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ლიზინგური კომპანია შეიქმნა ამერიკაში, კერძოდ სან -ფრანცისკოში სახელწოდებით “United States Leasing Corporation” 1952 წელს.[6] ამ კომპანიის ძირითად სამეწარმეო კონცეფციას წარმოადგენდა ის იდეა რომ , მოგებისმისაღებად არ არის აუცილებელი წარმოების საშუალებებზე საკუთრების უფლების არსებობა,საკმარისია იქონიო მასზე სარგებლობის უფლება.[7] ხანმოკლე პერიოდში ლიზინგი გადაიქცა ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად. მისი კერძოსამართლებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად განაპირობა არსებულმა ეკონომიკურმა საჭიროებებმა, რამაც თავის მხრივ სხვადასხვა სახელშეკრულებო ელემენტების ბუნებრივი შერწყმის შედეგად სრულიად ახალი ხელშეკრულების ფორმირება გამოიწვია.

---

[3] მეშველიშვილი ს.,სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N(39),2013, 81.

[4]ზერიშვილი ხ,. საქართველოში ლიზინგის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერპექტივები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009 ,7.

[5] კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, 25.
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000390/vasil%20kikutadze%2C%20disert..pdf>[07.04. 2019]

[6] ღუდუშაური ა., ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი , სამართალი, N11-12, 1993,53.

[7] ქოქრაშვილი ქ., საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი და მისი დამკვიდრების რეალურის ასპექტები საქართველოში, სამართალი, 3, 2001,36.

რაც შეეხება ლიზინგის ქართულ რეალობაში აქტიურ გამოყენებას, აღნიშნული დაკავშირებულია 2002 წლის 07 მაისის „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შემოღებასთან. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ლიზინგის აქტიური გამოყენება, დაფუძნდა რამდენიმე სალიზინგო კომპანია, რომელმაც განვითარება ეტაპობრივად- ქვეყნის შესაბამისი განვითარების შესაბამისად დაიწყო. საქართველოში პირველი სალიზინგო კომპანია “ საქართველოს სალიზინგო კომპანია“ იყო, რომელიც საქართველოს ბანკის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგი ახალი ინსტიტუტია მისი განვითარებისა და ათვისების ტემპი საქართველში არც თუ ისე ცუდია. საქართველოში ყველაზე მოთხოვნად სალიზინგო პროდუქტად ავტომანქანები და სამშენებლო დანადგარები ითვლება[8].

დღეისათვის რთულია ითქვას არსებობს თუ არა ქვეყანა, სადაც ლიზინგი ხელშეკრულების სახეს არ წარმოადგენს. იგი როგორც დამოუკიდებელი და განსხვავებული სამართლებრივი კატეგორია მოწესრიგებულია ქართული კანონმდებლობითაც. ლიზინგი როგორც ეკონომიკური და სამართლებრივი კატეგორია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში.

III.სალიზინგო ურთიერთობათა მომწესრიგებელი კანონმდებლობა

3.1 ლიზინგის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები

სალიზინგო ურთიერთობებმა მალევე გადაკვეთა ეროვნული კანონდებლობის ფარგლები და საერთაშორისო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, რამაც განაპირობა მისი მომწესრიგებელი კანანდებლობის ჩამოყალიბება. ლიზინგი ფინანსური ინსტიტუტია, შესაბამისად მისი სამართლებრივი მოწესრიგება ისეთ სამართლებრივ სფეროებს მოიცავს, როგორიცაა ლიზინგის საკანონდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო, საგადასახადო და გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები. მოწესრიგების სფეროს დაზუსტების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია რომის მოდელური კანონის პრეამბულაში არსებული ჩანაწერის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც მოდელური კანონის

[8]ზარბაქაძე ხ., ლიზინგი - საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება, 2017, 3, 4, <http://eprints.tsu.ge/1212/1/Leasing%20-%20The%20Possibility%20for%20Optimization%20of%20Tax%20Process.pdf> [28.04.2019].

მიზანი ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობის შინაარის განსაზღვრაა და არა მისი ფისკალური და საბუღალტრო ასპეტების დაცვა.
მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტებს წარმოადგენს კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დოკუმენტები.

3.1.1 ოტავის კონვენცია

კერძო სამართლის უნიფიკაციის ჩარჩოებში საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ, 1974 წელს შექმნილი ჯგუფის 10 წლიანი მუშაობის შედეგად 1988 წლის 28 მაისს ოტავაში (კანადა) მიღებული იქნა კონცენცია „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ"(Convention on international Financial leasing),[9] რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მაისს. კონვენციის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ იურიდიული წინააღმდეგობების აღმოფხვრა, რომელიც ფინანსური ლიზინგთან იყო დაკავშირებული, ასევე იჯარის ტრადიციული ორმხრივი ხელშეკრულების ადაპტირება სამმხრივთან და ლიზინგის მხარეთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი ერთგვაროვანი ნორმების ჩამოყალიბება. ოტავის კონვენციით დადგენილი სტანდარტების დაცვა მნიშველოვანია იმდენად, რადგანაც მის პრეამბულაში მოწესრიგებულია ლიზინგის ტრანზაქციაში მონაწილე მხარეთა ინტერესების თანაბარი დაცვის მიიღწევა.[10]

კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით აღნიშნული კონვენციის ნორმები მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე ვრცელდება, თუმცა ამ მასში გამტკიცებული პრინციპები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით მიმდინარე სალიზინო სამართლებრივ ურთიერთობებზე. ოტავის კონვენციის ძირითად მიზნებს წარმოადგენს ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მესამე პირის წინაშე, სამმხრივი

[9]კონვენციას ხელი მოაწერეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: განა(28.05.1988), ნიგერია (28.05.1988), ფილიპინები(28.05.1988), მაროკო (04.07.1988), ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა (28.05.1988) საფრანგეთი (07.11.1989), ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა (16.05.1990), ფინეთი (30.11.1990) იტალია (13.12.1990), ბელგია (21.12.1990), აშშ (28.12.1990), პანამა (31.12.1990) ;Magnus Ulrich,Globa Trade Law " International business law of the United Nation and Unidroid Collection of Uncitral's Conventions, model acts, Guides and principes"European law Publishers, 2004,p423
იხ.<https://www.unidroit.org/status-leasing-conv-1988> [25.04.2019]
[10]საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია. <https://www.jus.uio.no/lm/unidroit.financial.leasing.convention.1988/landscape.letter.pdf> [25.04.2019]

ურთიერთობის აღიარება, ლიზინგის გამცემის ქონებრივი ინტერესის დაცვა ლიზინგის მიმღების გაკოტრებისას, ლიზინგის საგნის ხარისთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მომწოდებლისთვის დაკისრება, ლიზინგის გამცემის დაცვა ლიზინგის მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევისას.[11]

ოტავის კონვენციის ნორმების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიზინგის შინაარსის განმსაზღვრელია შემდეგი გარემოებები: 1) ლიზინგის მიმღები თავად არჩევს ლიზინგის საგანს და მომწოდებელს. 2)ლიზინგის საგნის შეძენა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ლიზინგის გამცემის მხრიდან და ამ გარემობის შესახებ გამყიდველისთვის ცნობილია. 3) ლიზინგის საზღაურში შედის ლიზინგის საგნის ამორტიზაციის ხარჯი.[12]

3.1.2. რომის მოდელური კანონი

ლიზინგის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტს წარმოადგენს რომის მოდელური კანონი. იგი მიღებული იქნა 2008 წლის 13 ნოემბერს კერძო სამართლის უნიფიკაციის ფარგლებში, რომელმაც კიდევ უფრო დახვეწა ოტავის კონცენციით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპები. მისი მიღება განპირობებული იქნა იმ გარემობით, რომ ოტავის კონვენციის მიღმა დარჩა მრავალი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, რომელიც საჭიროებდა საერთაშორისო მოწესრიგებას. რომის მოდელური კანონი მოიცავს ლიზინგის რეგულირების სფეროში არსებულ მოწინავე წესებსა და საუკეთესო გამოცდილებას, აერთიანებს საერთო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სისტემებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს. ამასთან მისი მიღებით კიდე უფრო მეტად დაიხვეწა ოტავის კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპები.[13]

მოდელური კანონის მიხედვით ლიზინგად განიხილება ხელშეკრულება თუ:

---

[11]Kronke H. , Financial Leasing and its Unification by UNIDROIT – General Report, Uniform Law Review, 2011-1/2,31,32,33.
<https://academic.oup.com/ulr/article/16/1-2/23/1727362>[25.06.2019]

[12] საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია, მუხლი1, პუნქტი2.
<https://www.jus.uio.no/lm/unidroit.financial.leasing.convention.1988/landscape.letter.pdf> [25.04.2019]

[13]გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს დადგენილება,21.01.2019,N4-456/18.

1)ლიზინგის მიმღები ირჩევს როგორც ლიზინგის საგანს, ისე ამ საგნის მომწოდებელს, რომელთანაც ნასყიდობის ხელშეკრულებას აფორმებს ლიზინგის გამცემი.
2)გამყიდველთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მიზნობრიობას წარმოადგენს ლიზინგის მიზნებისთვის საგნის შესყიდვა.
3)ლიზინგის მიმღების მიერ გადახდილი საზღაური შეიძლება მოიცავდეს ლიზინგის საგნის ან მისი ნაწილის ამორტიზაციის ხარჯს.[14]
4)ხელშეკრულებით შესაძლებელია მხარეთა შორის მოწესრიგებული იქნეს ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის შესყიდვის უფლება.[15]

ერთიანი საკანონმდებლო მიდგომის ჩამოყალიბების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“ UNIDROID-ის მოდელურმა კანონმა. მისი მოქმედების სფერო გაცილებით ფართოა ვიდრე რომის მოდეულრი კანონის და მოიცავს ყველა სახის ქონებას რომელიც შეიძლება იყოს ლიზინგის ხელშეკრულების ობიექტი.[16]

3.2 ლიზინგის მოწესრიგება ქართული სამართლის მიხედვით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებისას კანონმდებელმა ლიზინგი მასში ასახა როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე. დროთა განმავლობაში ლიზინგს, როგორც ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან წყაროს, დიდი ყურადღება მიექცა სახელმწიფოს მხრიდან, რადგანაც იგი როგორც ინფრასტრუქტურის ისე მცირე თუ საშუალო ბიზნების განვითარების მნიშვნელოვან კაპიტალის წყაროს წარმოადგენს. ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, ლიზინგი შემოსავლის ერთ-ერთი ფართო წყაროა, რაც

[14]იხ:Peters L., International Institute for Unification of Private Law, Wolters Kluwer, Law &Business,2011.
[15]International institute for the Unification of private law. Unidroid Model law on leasing, December 2008.
[16] რომის მოდელური კანონის ზოგიერთი დათქმის თანახმად ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება უზრუნველყოფის მიზნით გადაცემულ ქონებაზე (მუხლი 3), საინვესტიციო ქაღალდებზე და ფულად სახსრებზე (მუხლი 2) ვალდებულების შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში გაიმიჯნა ხელშეკრულების მხარეთა უფლება - მოვალეობები(მუხლი 14) .
International institutefor the Unification of private law. Unidroid Model law on leasing, December 2008,
<https://www.unidroit.org/english/documents/2008/study59a/s-59a-17-e.pdf[25.05.2019]

განვითარებადი სახელმწიფოებისთვის ნაკლებად დამახასიათებელია.[17] ამასთან ლიზინგი პრივატიზების შედარებით უმტკივნეულო მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას. შესაბამისად, არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა განხორციელდა ახალბედა ლიზინგის განვითარებისათვის.

ლიზინგის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორცილებამდე, იგი წესრიგდებოდა ქირავნობის სამართლის მომწესრიგებელი სსკ-ის 576-580-ე მუხლებით.[18] ცალკეული მუხლი[19] მიუთითებდა ქირავნობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების თაობაზე.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ 2002 წლის 07 მაისს მიიღო კანონი „ სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“,[20] რომელიც კოდექსისგან განსხვავებით უფრო დეტალურ მოწესრიგებას სთავაზობდა ბრუნვის მონაწილეებს. თუმცა აღნიშნულმა სამართლებრივმა აქტმა დაიმსახურა სამართლებრივი კრიტიკა , იგი წინააღმდეგობაშიც კი მოდიოდა ლიზინგის ხელშეკულების იურიდიულ ბუნებასთან და ლიზინგის არსთან. კანონს თავიდანვე აკლდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლზე და ყიდვის ოფციის გამოყენების შესახებ წინასწარი შეთანხმებაზე მითითება ვინაიდან ქონების შესყიდვის ვალდებულება მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, თუკი მხარეები თავისუფალი ნების საფუძველზე აღნიშნულ დებულებას ასახავდნენ ხელშეკრულებაში. აღნიშნული კანონის სამართლებრივ ანალიზში აღნიშნულია, რომ იგი ლიზინგის მიმღებს ისეთ ფართო მოვალეობს აკისრებდა, რომელსაც დასავლეთ ევროპის სამართალი არ ცნობდა. მაგალითად, ლიზინგის მიმღებს არ შეეძლო ხელშეკრულების მოშლა, თუ ლიზინგის საზღაურის თანხა სრულად არ ჰქონდა გადახდილი.[21] ასევე მას მივყავდით კაბალური გარიგების დადების საშიშროებამდე, რომელიც ექვივალენტურობის პრინციპის საფუძველზე იწვევდა რისკის ისეთ გადანაწილებას, რაც ტვირთად აწვებოდა ლიზინგის მიმღებს.[22] იგი

---

[17]Jiazhuo G Wang; Juan Yang, Financing without Bank Loans : New Alternatives for Funding SMEs in China, Springer Singapore, 2016, 109.

[18]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002,508.

[19] იხ. სამოქალაქო კოდექსის ცვლილებამდე რედაქციის 578(1), შდრ. 580.

[20] იხ.საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, 28/05/2002, ძალადაკარგულია, 31.10.2011. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1>[31.06.2019]

[21]ენცო ლ. ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 532.

[22] იქვე, 536.

უგულებელყოფდა სამოქალაქო სამართლის ისეთ ფუძემდებლურ ფასეულობებს, როგორიცაა შესრულებისა და სამაგიერო შესრულების პრინციპები. კანონი შეფასდა როგორც ზედმეტი, სამართლებრივი სიცხადისთვის საზიანო და ფუნქციონირებადი სალიზინგო ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ხელისშემშლელი.[23]

საქართველოს პარლამენტმა 2011 წელს განახორციელა ცვლილება სსკ-ის 576-580-ე მუხლებში, რითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა აღნიშნული კანონი. ამის შედეგად ლიზინგი მკვეთრად გაემიჯნა ქირავნობის ხელშეკრულებას და მას დაემატა სამმხრივი ტრანზაქციის ელემენტი, როგორც ეს საერთაშორისო სამართლის დოქტინით არის აღიარებული.[24] კერძოდ, 576-ე მუხლის პირველი ნაწილის დაემატა ორი ნაწილი ლიზინგის მიმღებისა და ლიზინგის გამცემის ვალდებულებაზე მითითებით, რომლის მიხედვითაც ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მომწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება, ხოლო ლიზინგის გამცემი იძენს ქონებას ლიზინგით გადასაცემად და მომწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია.

IV. ლიზინგის მიმართება სხვა სამართლებრივ გარიგებებთან და ლიზინგის სესხად განმარტების პრობლემა

4.1 ლიზინგის სამართლებრივი ბუნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი ფინანსური საშუალებები სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობებით, რომ 1) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება; 2) ლიზინგის მიმღები გამსაზღვრულ ქონებას იძენს ლიზინგით გადასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია. ორივე შემთხვევაში ლიზინგის საგნის მესაკუთრედ რჩება ლიზინგის გამცემი.ლიზინგის ხელშეკრულებით,

[23] იქვე, 540.

[24]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 19.

ლიზინგის საგნის მწარმოებელი ფირმის შერჩევის უფლება შეიძლება მიეცეს როგორც ლიზინგის სალიზინგო კომპანიას, ისე ლიზინგის მიმღებს.[25]

ლიზინგი ორმხრივად მავალდებულებელი, სასყიდლიანი გარიგებაა. ერთი მხრივ, შეიძლება კონსენსუალურ გარიგებად იქნეს მიჩნეული. ასეთი მოსაზრების საფუძველია მხარეთა ნების ავტონომიის პრიმატი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას. აღნიშნულის მიხედვით, ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღების მფლობელობაში გადაცემა არ უნდა ჩაითვალოს ლიზინგის ხელშეკრულების ძალაში შესვლის წინაპირობად. მით უფრო, როდესაც თანამედროვე დოქტრინა ლიზინგის მიმღებისთვის უპირობო ვალდებულებების დაკისრების კონცეფციას აღიარებს. აქედან გამომდინარე, არსებობს იმდენი განსხვავებული შეთანხმება, რამდენი ლიზინგი სხელშეკრულებაც შეიძლება დაიდოს. ზემოთ განვითარებული მსჯელობით, ლიზინგი სხელშეკრულება კონსენსუალურ გარიგებად უნდა ჩაითვალოს, თუ მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს. აღსაღნიშნავია 2008 წლის 19 დეკემბრის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ლიზინგის უფლების წარმოშობას მის რეგისტრაციას უკავშირებს. მართალია, კანონი ასეთ იმპერატიულ მითითებას მხოლოდ უძრავ ნივთთან მიმართებითი თვალისწინებს, მაგრამ იგი მყარი არგუმენტია რეალურ გარიგებად მიჩნევისათვის. [26]

ლიზინგის ხელშეკრულება შინაარსობრივად შერეული ხელშეკრულებაა. იგი თავის თავში მოიცავს შუამავლობის, ნარდობას, ქირავნობასა და ნასყიდობას.[27] ხშირია შემთხვევა როგორც იურიდიულ, ისე სასამართლო პრაქტიკაში როდესაც ლიზინგის გაიგივება ხდება სესხის, ქირავნობისა და განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებებთან.[28] იურიდიულ ლიტერატურაში ასევე პარალელი იქნა გავლებული ლიზინგსა და შუამავლობა შორის “არაპირდაპირი ლიზინგის დროს ხდება ქონების გადაცემა შუამავლის საშუალებით. შუამავლად გამოდის სალიზინგო კომპანია, რომელიც მწარმოებელი ფირმისგან ან სხვა ინვესტორისაგან

---

[25] ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4.გვ-508.

[26] ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 26.

[27] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 20.02.2019; 2ბ/-1246-2018, პუნქტი-4.12.1;

[28] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 18.09.2018; 2/ბ-839-2018, პუნქტები 2.8-2.11;

შეისყიდის ლიზინგის მიმღებისათის საჭირო ქონებას და გადაცემს მას.“[29] თუმცა, ლიზინგი განსაკუთრებული სახის ხელშეკრულებაა, რომელიც სხვა გარიგებების მსგავს ელემენტებს აერთიანებს,[30] მხარეთა შორის არსებული უფლება-მოვალეობების განსაზღვრის თავისებური წესი მას დამოუკიდებელ ხელშეკრულებად აყალიბებს და იგი ცალკე უფლების ობიექტია.[31]

4.2. ქირავნობისა და იჯარის ურთიერთმიმართება ლიზინგის ხელშეკრულებასთან და მათი გამიჯვნის კრიტერიუმები

ლიზინგის ხელშეკრულება თავისი არსით ძალიან წააგავს სხვა ვალდებულებით სამართლებრივ ინსტიტუტებს. პირველ რიგში მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ , თუ სად გადის ზღვარი ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებას შორის, ხოლო შემდგომ მიმოვიხილოთ ის საფუძვლები, რამაც განაპირობა ამ ხელშეკრულებების გაიგივება სალიზინგო სამართლებრივ ურთიერთობასთან და რა არის მათი განმასხვავებელი ძირითადი ელემენტები.

იჯარა არსებითად ქირავნობის ხელშეკრულებაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საიჯარო სამართლებრივი ურთიერთობის დროს ქონების გადაცემა ხორციელდება სასყიდლიანი სარგებლობისათვის განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, ნაყოფის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფით. იჯარის დროს ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ნივთი(148), ასევე ქონებრივი უფლებები (კანონის ტერმინოლოგიით „ქონება“581 I), საიჯარო ქირა შეიძლება გადახდილი იქნეს როგორც ფულადი სახით, ისე ნატურით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იჯარის დროს ქონების გადაცემა ხორციელდება კომერციული მიზნით. მეიჯარეს აქვს შესაძლებლობა მიიღოს იჯარის საგნისგან ნაყოფი, თუ იგი მიიღება მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით.[32]

---

[29] კახაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV,ტ. I, თბილისი, 2001, 150.

[30] ღუდუშაური ა., ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი, სამართალი, N11-12, 1993, 55;
Claudiu lulian Lesni, The Lease Contract, Contemporary Readings in Law and Social Justice Volume 4(2), 2012, 900.

[31]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016,მუხლი 576, ველი 25.

[32]ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 22.02.2016, მუხლი581, ველი 10.

პირველ ეტაპზე უნდა ავღნიშნოთ ის ტერმინოლოგიური აღრევა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ ინსტიტუტების გაიგივებას. ტერმინი „lease". ინგლისურენოვან ლიტერატურაში ქირავნობას, იჯარას აღნიშნავს,[33] თვითონ ლიზინგი კი, ქირავნობისგან გასამიჯნად, „ფინანსური ლიზინგით" („financial lease") მოიხსენება.[34] „ქირავნობა"(იჯარა) და „ლიზინგი" თავისთავად განხვავებული ვალდებულებით სამართლებრივი კატეგორიაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ლიზინგი გაითვალისწინა როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე (ქირავნობის ნაირსახეობა)[35] და მის მიმართ გამოიყენებოდა ქირავნობის მომწესრიგებელი ის ნორმები, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდნენ ლიზინგის ხელშეკრულებას.[36] ვინაიდან, ლიზინგი ახალი ინსტიტუცია იგი ბევრ ქვეყანაში მოწესრიგებულიც კი არ იყო როგორც ხელშეკრულების ცალკე ტიპი და მას განიხილავდნენ არატიპობრივ ქირავნობად ან ხელშეკრულების დადების თავისუფლების შედეგად-ხელშეკრულების განსაკუთრებულ ტიპად (sui generis), რომელიც ნაწარმოებია ქირავნობის სამართლიდან. ცალკეულ ქვეყნებში ლიზინგის მოსაწესრიგებლად იყენებენ ნასყიდობის, სესხისა და მომსახურების სამართლის ნაწილებს. ლიზინგის სამართლებრივი კონსტრუქცია კომპლექსურია და უკავშირდება გარკვეულ სირთულეებს.[37] დღევანდელი რედაქციით ლიზინგის ხელშეკრულების მიმართ ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმები აღარ გამოიყენება და იგი განხვავებული სახით არის ჩამოყალიბებული. ხშირი იყო შემთხვევები როდესაც ხდებოდა ამ ინტიტუტების გაიგივება, თუმცა დღევანდელ ვითარებაში მათი გამიჯვნის კრიტერიუმები თანამდეროვე დოქტრინაში საყოველთაოდ გაზიარებულია.

---

[33]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 506.

[34]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 21.

[35] ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 508.

[36] ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 27.

[37] ენცო ლ. ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 524

4.2.1.სამმხრივი ურთიერთობის არსებობა სალიზინგო სამართალში და ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის შეძენის მიზნობრიობა

ერთ-ერთ განხვავებას წარმოადგენს სამმხრივი ტრანზაქციის არსებობა სალიზინგო ურთიერთობისას ლიზინგის გამცემს, მიმღებსა და მომწოდებელს შორის. კერძოდ, ლიზინგის გამცემსა და მომწოდებელს შორის იდება სალიზინგო მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო მეორეს მხრივ ლიზინგის გამცემსა და მომწოდებელს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხოლო ქირავნობის დროს, ხელშეკრულება იდება მხოლოდ ორ მხარეს შორის- გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის.[38] უმთავრეს თავისებურებას წარმოადგენს ლიზინგით გადასაცემი ქონების სპეციალური დაკვეთით დამზადება ან შეძენა მესამე პირისგან, ან თავად ლიზინგის მიმღებისაგან, მაშინ როდესაც იჯარის ხელშეკრულების დროს მსგავსი რამ არ ხდება. მეიჯარე დროებით სარგებლობაში გასცემს იმ ქონებას, რაც მას აქვს საკუთრებაში ან სხვა შესაბამისი უფლების საფუძველზე და დროებით სარგებლობაში გადაცემის სურვილი აქვს.[39] ასევე ლიზინგის მიმღებს შეიძლება მიენიჭოს განსაზღვრული უფლებები ლიზინგის საგნის გამყიდველის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ლიზინგის გამცემი და არა ლიზინგის მიმღები.[40]

4.2.2 უფლება-მოვალეობათა მოცულობა

ერთ-ერთ განმასხვავებელ კრიტერიუმს წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და მათი მოცულობა. სალიზინგო სამართლებრივი ურთიერთობისას ლიზინგის გამცემი წარმოადგენილია ფინანსური ინსტიტუტის სახით და მისი ვალდებულებებიც უფრო მცირეა, ვიდრე ქირავნობის (იჯარა) ურთიერთობიდან გამქირვებლითვის (მეიჯარისათვის) წარმოშობილი ვალდებულებები. მაგალითად, ლიზინგის გამცემი გათავისუფლებულია მეიჯარის ისეთი ვალდებულებისაგანა როგორიცაა ქონების მოვლისა და ჯეროვან მდგომარეობაში ყოფნისათვის ხარჯების გადახდა.[41] ლიზინგის დროს ხშირ შემთხვევაში ლიზინგის

[38]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 30.

[39] მეშველიშვილი ს.,სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N(39),2013,87.

[40] ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 506.

[41] იქვე,506.

გამცემის შეზღუდული ფუნქციიდან გამომდინარე ლიზინგის საგანთან დაკავშირებული ლიზინგის მიმღების მოთხოვნები მიმართულია არა ლიზინგის გამცემის, არამედ მომწოდებლის მიმართ.[42] ამასთან განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობას ქმნის შესყიდვის ოფციის არსებობა, ვინაიდან ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულება აღნიშული სახის ვალდებულებას არ ითვალისწინებს, მაშინ როდესაც ლიზინგის ხელშეკულების ერთ-ერთი თავისებურებაა ქონების შესყიდვის უფლება.[43]

4.2.3. Bright-line ტესტი

ლიზინგისა და ქირავნობის გამიჯვნისათვის მნიშვნელობან სტანდარტს წარმოადგენს Bright-line ტესტი, რომელსაც აშშ-ს სასამართლო ლიზინგის ხელშეკრულების განმარტებისას ხშირად იყენებს. აღნიშნული წესის მიხედვით, გარიგება ლიზინგად ითვლება თუ ლიზინგის მიმღებს არ აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება. ამასთან გარიგება ლიზინგად ჩაითვლება თუ ლიზინგის ხელშეკრულების ვადა უტოლდება ან აღემატება ლიზინგის საგნის ეკონომკური სიცოცხლისუნარიანობის ვადას,ლიზინგის მიმღები ვალდებულია განაახლოს ლიზინგის ხელშეკრულება ან შეისყიდოს ლიზინგის საგანი, ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს განაახლოს ლიზინგის ხელშეკრულება დამატებითი თანხის გადახდის გარეშე ან ნომინალური თანხის გადახდით, ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს შეისყიდოს ლიზინგის საგანი დამატებითი თანხის გადახდის გარეშე ან ნომინალური თანხის გარეშე.

აშშ-ს უნიფიცირებული სავაჭრო კოდექსი ქირავნობისა და ლიზინგის გამიჯვნის კრიტერიუმად განსაზღვრავს ასევე ლიზინგის გამცემის ინტერესს ლიზინგის საგნის მიმართ. ზემოთ აღნიშნული პირობების შემთხვევაში, ლიზინგის ვადის გასვლის შემდგომ ლიზინგის საგანი კარგავს საბაზრო ღირებულებას. თუკი ზემოაღნიშნული რომელიმე გარემოება სახეზე არაა, მაშინ ეს სამართლებრივი ურთიერთობა დაკვალიფიცირდება ქირავნობად.[44]

---

[42]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 32.

[43] მეშველიშვილი ს.,სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N(39),2013,87.

[44]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 35.იხ. ციტირება:Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Lebron v. Citicorp Vendor Finance, Inc., Not Reported in S.W.3d, 2004 WL1615837 (Tex.App.-Dallas, Jul 20, 2004)(NO. 05-03-01240-CV), 16.

4.2.4.Economic realities ტესტი

აშშ-ს სასამართლოსაათვის ერთ-ერთ სახელმძღვანელო სტანდარტს ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის წარმოადგენს economic realities ტესტი, რომლის მიხედვითაც თუკი ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ ლიზინგის გამცემს ქონების(ლიზინგის საგნის) უკან დაბრუნების სურვილი აღარ აქვს, რაც განპირობებულია არსებული ეკონომიკური მდგომარეობით, ასეთ შემთხვევაში აშშ-ს სასამართლო გარიგებას აკვალიფიცირებს ლიზინგად.[45]

4.2.5. ლიზინგის ხელშეკრულების ვადა

ლიზინგის ხელშეკრულება როგორც წესი, იდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაზღვრული ვადით. უზენაესი სასამართლოს განმარტებით ლიზინგის ხელშეკრულების ვადაში მოიაზრება ლიზინგის საგნის გადაცემიდან ან საგნით სარგებლობის პერიოდი.[46] თუკი ხელშეკრულებით შესაძლებელი იქნებოდა ლიზინგის საგნის გადაცემა ნებისმიერ დროს ხელშეკრულების ბოლო ვადის ჩათვლით მაშინ, მაშინ მივიღებდით არა ლიზინგს არამედ სრულიად სხვა სამართლებრივი ბუნების მქონე ხელშეკრულებას.[47]ლიზინგის საგნის გადაცემა ხდება ხანგრძლივი დროით, ხშირად ეფექტური სამსახურის (ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის) მთელი დროით.[48] ლიზინგის ხელშეკრულების ვადა ერთ-ერთი კრიტერიუმია თითონ ლიზინგის ხელშეკრულების სახეებს შორის მიჯნის გავლებისათვის, კერძოდ ფინანსური ლიზინგის (finance lease) დროს ნივთის გადაცემა ხდება ხანგრძლივი ვადით, თანაბარი ექსპლუატაციის ვადაში. ხოლო ოპერატიული ლიზინგის (operating lease), დროს ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ნივთის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ვადაზე ნაკლები ვადით.

---

[45]ირემაშვილი ქ.,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი36., იხ. ციტირება:Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, In re:Fleming Companies, Inc., 308 B.R. 693 (Bankr.D.Del., 2004), 16,

[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 08.11.2002, 3კ-771-02 .

[47] იქვე

[48]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 506.

4.2.6. ლიზინგის საზღაური და შესყიდვის ფასი

ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, როგორც წესი ლიზინგის მიმღებს მინიჭებული აქვს შესაძლებლობა შეისყიდოს საგანი, თუკი ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ სრულდება. როდესაც ლიზინგის ხელშეკულება იდება ნივთის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ვადით, ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილების რისკი ლიზინგის მიმღების მხარესაა.[49] ლიზინგის საგნის შესყიდვის ღირებულება როდესაც ნივთის ნომინალურ ღირებულებაზე მეტია, მიიჩნევა რომ ასეთ დროს ტრანზაქციაში უზრუნველყოფის ინტერესები არ არის. ლიზინგის საგნის შეძენის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამორტიზაციის ხარჯი.[50]
გარიგებას ვერ დავაკვალიფიცირებთ ლიზინგად, თუ ლიზინგის საზღაური შესაბამისობაშია და არ აღემატება ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმებისას არსებულ ლიზინგის საგნის საბაზრო ფასს, ასევე თუკი ლიზინგის მიმღებს აქვს შესაძლებლობა შეისყიდოს ლიზინგის საგანი შესყიდვის მომენტში არსებული ლიზინგის საგნის საბაზრო ღირებულების სათანადო თანხით.[51]

4.3.განვადებით ნასყიდობის მიმართება ლიზინგის ხელშეკრულებასთან

განვადებით ნასყიდობასა და ლიზინგის სამართლებრივ ურთიერთობას შორის არსებობს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. განვადებით ნასყიდობა მოწესიგებულია სსკ-ის 505-508-ე მუხლებით. ამ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე,ხოლო მყიდველის მიერ ნივთის ფასის გადახდა ხორციელდება ნაწილ-ნაწილ, დროის განსაზღვრულ შუალედებში. ამ ორ გარიგებას შორის შორის ძირითად მსგავსებას წარმოადგენს ის გარემება, რომ ორივე შემთხვევაში თანხის გადახდა ხდება ნაწილ- ნაწილ, წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად. ხოლო ძირითად განმახვავებელ ფაქტორს წარმოადგენს გარიგების მხარეთა სურვილი კონკრეტული იურიდიული შედეგის დადგომისა. განვადებით ნასყიდობა თავისი არსით საბოლოოდ ქონების საკუთრებაში გადაცემას ითვალიწინებს, ხოლო ლიზინგის დროს

[49] ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 40.
[50] ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 506
[51]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 41.

შესაძლოა ქონების ლიზინგის მიმღების საკუთრებაში გადაცემა არ მოხდეს[52], როგორც ეს ოპერატიული ლიზინგის დროს ხდება და მხოლოდ გარკვეული ვადით სარგებლობისათის ხდება საგნის გადაცემა ლიზინგის მიმღებისათის. გადახდის განვადებით ნასყიდობის დროს გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. სასამართლო[53] მიუთითებს, რომ საკანონმდებლო ტექნიკის (ნორმა ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ ქვეთავს წარმოადგენს), ასევე, ნივთზე უფლების გადაცემის საკითხის სწორად განსაზღვრის მიზნით სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლი უნდა განიმარტოს სისტემურად ამავე კოდექსის 477-ე და 186-ე (მოძრავი ნივთის შემთხვევაში, ხოლო უძრავი ნივთისას - 183-ე მუხლი) მუხლებთან ერთობლიობაში. ერთ-ერთ საქმეზე[54] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავდება იმით, რომ განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს ნივთი ფასის გადახდამდე, ხოლო შემდგომ კი მყიდველის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ. ამდენად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მყიდველი ნივთის მესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე, თუმცა მას გადახდილი აქვს ნივთის ფასის მხოლოდ ნაწილი.

ორივე შემთხვევაში ხელშეკრულების საგანს ნივთი წარმოადგენს და ქონების მიმღები ამ ნივთის საფასურს გარკვეული პერიოდულობით, ანუიტეტური მეთოდით იხდის, თუმცა ნივთზე საკუთრების შეძენა არის ის საკვანძო საკითხი, რომელიც აღნიშნულ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს განასხვავებს. ლიზინგის ხელშეკრულების საგანი საკუთრების უფლებით, ხელშეკრულების პირობების შესრულებამდე ლიზინგის გამცემს ეკუთვნის, თუმცა საკუთრების უფლების გადასვლა შეიძლება მხარეთა შორის არც კი შეთანხმდეს და ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულების გასვლის შემდგომ შეიძლება ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება გააჩნდეს. რაც შეეხება განვადებით ნასყიდობას ასეთ დროს, შემძენი ყოველთვის ხდება ნივთის მესაკუთრე და თანხას არა ნივთის სარგებლობისთვის, არამედ მისი ძირითადი ღირებულების დასაფარად იხდის.

---

[52] მეშველიშვილი ს.,სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N(39),2013,88.

[53]თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 18.07.2018, 2ბ/1286-18. <http://temida.mylaw.ge/fullcase/1232///--.pbn> [05.04.2019]

[54] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 12.02.2018, №ას-691-1021-07.

4.4. ლიზინგის ხელშეკრულებისა და ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით შედარება

რაც შეეხება ნასყიდობას გამოსყიდვის უფლებით, ასეთ დროს გამოსყიდვის ხელშეკრულებით თავდაპირველი გამყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ცალმხრივი ნების გამოვლენით გამოისყიდოს ნასყიდობის საგანი. ხოლო თავის მხრივ გამოსყიდვის ცალმხრივი უფლება თავდაპირველ ხელშეკრულებაში გათვალიწინებულ მხარეთა შორის არსებულ შეთახნმებას ეფუძნება.[55] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით[56] გამოსყიდვა გამყიდველის უფლებაა და არა ვალდებულება, შესაბამისად ამ უფლების განხორციელება მისსავე ნებაზეა დამოკიდებული. სასამართლოს განმარტებით იგივე წესია დადგენილი ლიზინგის ხელშეკრულებაშიც, ასეთ დროს ლიზინგის მიმღებს , შეიძლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ჰქონდეს ლიზინგის საგნის შესყიდვის უფლება და არა ვალდებულება. ნივთის შესყიდვის ვალდებულების დაკისრება ლიზინგის ხელშეკრულების საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

4.5. ლიზინგისა და საბანკო კრედიტის ურთიერთმიმართება

საინტერესოა ასევე საბანკო კრედიტისა და ლიზინგის ხელშეკრულების გამიჯვნის საკითხი. მნიშვნელოვან განმასხვავებელ ფატორს წარმოადგენს გამარტივებული პროცედურები. საბანკო კრედიტის დროს,კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. ასეთ დროს, ბანკები სესხის გაცემისას ინტერესდებიან მსესხებლის საბანკო ისტორიით, ლიზინგით ქონების გადაცემის დროს ლიზინგის გამცემის მხრიდან უფრო მარტივი პროცედურაა გადაწყვეტილების მისაღებად, შეფასების საკითხი უფრო მარტივია. ლიზინგის დროს ხშირ შემთხვევაში უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების გამოყენება აღარ ხდება რადგანაც ლიზინგის საგანი თავად წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტიას.[57] თუკი ლიზინგის მიმღების მხრიდან ვერ მოხდება ნაკისრი ვალებულების ჯეროვნად შესრულება და იგი არ გადაიხდის სალიზინგო საზღაურს ხელშეკრულებით გათვალისწინებული

---

[55] ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,GCCC.GE, 27.05,2016 მუხლი 509, ველი 1.

[56]თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 18.07.2018, 2ბ/1286-18. <http://temida.mylaw.ge/fullcase/1232///--.pbn> [05.04.2019]

[57] მეშველიშვილი ს.,სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N(39),2013,88.

პირობების შესაბამისად, ლიზინგის გამცემს უფლება აქვს გამოითხოვოს ნივთი უკან. აღნიშნული უფლების საფუძველს კი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ლიზინგიდსაგანზე საკუთრების უფლების შენარჩუნება განაპირობებს.[58] საბანკო კრედიტის დროს გაცილებით მაღალი საპროცენტო განაკვეთია დამახასიათებელი, ვიდრე ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადი. ამასთან განსხვავებას გვაძლევს გარიგების საგანი, ვინაიდან ლიზინგის მარეგულრებელი ნორმების თანახმად ლიზინგის საგანი არ შეიძლება იყყოს ფულადი თანხა, ხოლო საბაკო კრედიტის ობიექტია ფული.

ლიზინგი იძლევა შესაძლებლობას ფლობდე და სარგებლობდე ქონებას მასზე საკუთრების უფლების მოპოვების გარეშე,დამატებითი უზრუნველყოფის წარდგენის არარსებობით, ხოლო ლიზინგის მიმღებს შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს მიღებული ქონება და მართოს ფინანსური რესურსები.[59]

4.6 ლიზინგის სესხად განმარტების პრობლემა

სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ლიზინგის დამოუკიდებელი სამართლებრივ ინსტიტუტად აღიარების საკითხი. ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეთა შორის არსებული სამართლებრივ ურთიერთობას სასამართლო სესხად აკვალიფიცირებს, მაშინ როდესაც ლიზინგის ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობაა სახეზე. იდენტური პირობების საქმეზე სასამართლომ შეიძლება განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღოს.[60]

მნიშვნელოვანია გამოვყოთ და განვიხილოთ ის საფუძვლები, რაც განაპირობებს სასამართლო პრაქტიკის თანახმად ლიზინგის სესხად კვალიფიკაციას.

---

[58] DEELEN LINDA,Dupleich Mauricio,Otheino Lous,Wakelin Oliver, “Leasing for small and Micro Enterprices” A Guide for designing and managing leasing schemesin developing countries,inlabour Office, 2003.p5.

[59]DRS Curusamy, “Financial Servises” 2nd edition,published by the Tata Mcgraw hill education private limited, First reprint, 2009,142.

[60]ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 11.09.2018, 2-3724-18.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 18.09.2018, 2/ბ-839-2018.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 19.02.2019, 2/71-2019.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განჩინება, 02.04.2018, 2/327-18.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 19.06.2018, 2/ბ-494-2018.

4.6.1.ლიზინგის ხელშეკრულების არაერთგვაროვანი ბუნება

ლიზინგის ხელშეკრულების არაერთგვაროვანი ბუნება მნიშვნელოვნად განაპირობებს სასამართლო პრაქტიკაში ლიზინგის ურთიერთობის სესხთან აღრევას. სასამართლოს მხრიდან ფინანსური ლიზინგის ზოგადსალიზინგო ურთიერთობასთან გაიგივება არასწორია, ვინაიდან იგი ლიზინგის ერთ-ერთი სახეა და მკვეთრად განსხვავდება როგორც ოპერატიული ლიზინგის[61], ისე უკულიზინგისაგან.[62] სხვადასხვა მნიშვნელობისაა ტერმინები finance lease დაfinancing lease. finance lease ეს არის ლიზინგის ერთ ერთი სახე, როდესაც ლიზინგის გამცემი და მომწოდებელის სხვადასხვა სუბიექტია, ხოლო financing lease(იგივე financial lease) გაცილებთ უფრო ფართო მნიშვნელობისაა. უკულიზინგის შემთხვევაში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქონების მომწოდებელი(გამყიდველი) იმავდროულად ლიზინგის მიმღებიცაა და ხელშეკრულება იდება იმ პირობით , რომ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ლიზინგის საგანი ლიზინგის მიმღების საკუთრებაში გადავა.

4.6.2.ლიზინგის საგნის გაიგივება რეგისტრირებულ გირავნობასთან

გირავნობა წარმოადგენს ვალდებულების უზრუნველყოფის სანივთოსამართლებრივ საშუალებას.[63] კანონისმიერი განმარტების თანახმად, გირავნობა არის კრედიტის უზრუნველყოფის ისეთი საშუალება, რომლის ძალითაც კრედიტორს (მოგირავნეს) ენიჭება უფლება, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დაგირავებული ქონების რეალიზაციით ან მასზე საკუთრების მოპოვებით, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (278).[64] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს ორი სახის გირავნობას: მფლობელობითს და რეგისტრირებადს. რეგისტრირებული გირავნობის დროს საჯაროობა მიიღწევა გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში (სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის შემთხვევაში – შინაგან საქმეთა სამინისტროს

---

[61]იმედაშვილი გ., ხარაიშვილი ს., საჰაერო ხომალდის სალიზინგო ხელშეკრულება, სამართალი, N1-2, 2006, 39.

[62] ენცო ლ. ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 530.

[63] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 254 და შემდეგი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]

[64]იხ. ამასთან დაკავშირებით: ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი,თბილისი, 2012, 121 და შემდგ.; ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 1999, მუხ. 254, გვ. 193 დაშემდგ.; ზოიძე, სანივთო სამართალი,თბილისი, 2003, გვ. 283 და შემდეგი

მომსახურების სააგენტოში) რეგისტრაციის გზით.[65]ლიზინგით გადაცემული ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად იქნა განხილული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილების მიხედვით.[66]ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ლიზინგის საგანი რეგისტრირებად გირავნობად ჩათვალა, ხოლო ლიზინგის მიმღები ლიზინგის საგნის მესაკუთრედ,[67]აღნიშნულის დასასაბუთებლად კი მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც " საგზაო პოლიციაში რეგისტრაცია არ არის აუცილებელი პირობა მოძრავ ქონებაზე(მათ შორის, ავტომანქანაზე) საკუთრების გადაცემისათვის. საგზაო პოლიციაში აღრიცხვაზე დადგომა არ არის სამოქალაქო სამართლებრივი აქტი, იგი ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ შეიძლება გამოდგეს ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომ ავტომანქანა იმის საკუთრებაა, ვინც რეგისტრირებულია საგზაო პოლიციაში".[68]

სასამართლოს მიერ ზემოაღნიშულ გადაწყვეტილებაზე მითითება და ლიზინგის საგნის რეგისტრირებად გირავნობასთან გაიგივება არამართებულია. პირველ რიგში უნდა აღინიშოს, რომ ეს გადაწყვეტილება ეხება ავტომანქანის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ სამართლებრივ შედეგებს. ასევე აღნიშნულ საქმეში მხარეთა შორის გარიგება ზეპირი ფორმით დაიდო და არა წერილობით ფორმით. ამასთან უზენაესი სასამართლოს განსახილველ საკითს წარმოადგენდა შეიძლებოდა თუ არა პირი ჩათვლილიყო კეთილსინდისიერ შემძენად, თუ კი მინდობილობა, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა მესამე პირი არ იყო ნოტარიულად დამოწმებული. ეს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო მსგავსი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას,[69]თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მან სამეცნიერო წრეებში დაიმსახურა კრიტიკა. ავტომობილის საკუთრებაში გადაცემის და რეგისტრაციათან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „უზენაესი სასამართლოს აღნიშნული მიდგომა გამართლებულად არ

---

[65]რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 255, ველი 3.

[66]ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები, 08.01.2019, 2/ბ-1246-2018, პუნქტები 4.29.3-4.29.9; 18.09.2018, 2/ბ-839-2018, პუნქტი 4.29.6; 19.09.2017, 2/ბ-706, 2/127-19;

[67] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 08.01.2019, 2/ბ-1246-2018, პუნქტები 4.29.7, 4.29.8, 4.29.10.

[68] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, 09.09.2002, 3კ-624-02. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2002-3k-624-02.pdf>[28.05.2019]

[69] ზარანდია თ., საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე. საკუთრების წარმოშობა მექანიკურ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. ნორმათა კოლიზია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, 68-70. <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf>[28.05.2019] <http://www.temida.mylaw.ge/fullcase/987///--.pbn> [28.25.2019]

უნდა იქნას მიჩნეული.სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმებით და არ გამოიყენა „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ "საქართველოს კანონის მე-9' მუხლი."[70]უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნებას და მასთან ლიზინგის გაიგივება არ დაუშვებელია.

საჩხერის რაიონული სასამართლოს განჩინებით[71] ლიზინგის ხელშეკრულების საგანი მიიჩნეული იქნა უზრუნველყოფის საგნად და მასზე გაავრცელა გირავნობის უფლება. რეგისტრირებულ გირავნობის შემთხვევაში მოცემულ ნივთზე უფლება წარმოიშობა მისი შესაბამის უწყებაში რეგისტრაციის მომენტიდან. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ლიზინგის საგანს წარმოადგენდა ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმყოფებოდა ლიზინგის მიმღების საკუთრებაში. მსუბუქი ავტომობილი კი წარმოადგენს რეგისტრირებად საგანს, რომელზედაც გირავნობის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელი იქნებოდა გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.[72]

4.6.3 ლიზინგის საგნის გამოსყიდვა და ლიზინგის გამცემის წლიური საპროცენტო სარგებელი

სასამართლო ლიზინგის სესხად განმარტების შესახებ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ლიზინგის მიმღებს უნდა გადაეხადა ლიზინგის საგნის გამოსყიდვის საფასური.[73] გამოსყიდვის უფლება კი ეწინააღმდეგება ლიზინგის არსს, ვინაიდან, ლიზინგის დროს ხდება ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის გადაცემა დროებით სარგებლობაში და არა საკუთრებაში, ამიტომ შეუძლებელია ლიზინგის გამცემი დავავალდებულოთ ან მივცეთ უფლება უკან გამოისყიდოს

---

[70] ტაკაშვილი ს., მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, 51-53.

[71] საჩხერის რაიონული სასამართლოს განჩინება 03.05.2019, 2/127-19

[72]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 258, ნაწილი 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]

[73] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები, 08.01.2019, 2/ბ-1246-2018, პუნქტი 2.7; 18.09.2018; 2/ბ-839-2018, პუნქტი 2.10; 19.09.2017, 2/ბ-706.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება,04.05.2018, პუნქტი 4.4.

ლიზინგის საგანი, როდესაც თავად არის მისი მესაკუთრე. ლიზინგის მიმღების მიერ ხდება მისი შესყიდვა და არა გამოსყიდვა.[74]

ასევე სასამართლო შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს შესყიდვის უფლების და არა ვალდებულების არსებობაზე.[75]ლიზინგის საგნის შესყიდვა ლიზინგის ხელშეკრულების არსებით პირობას არ წარმოადგენს.[76] თუმცა, როგორც წესი, ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლება ლიზინგის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შედეგად გადადის ლიზინგის მიმღებზე დამატებითი საზღაურის გარეშე. აღნიშნულის წინაპირობაა ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის მთლიანი ფასის სრულად დაფარვა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. შესყიდვის უფლებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ კანონი შესყიდვის ოფციის აუცილებლობას ითვალისწინებდა.[77]

ცალკე მსჯელობის საგანია ლიზინგის სესხად მიჩნევა მაღალი სალიზინგი საზღაურის გამო. ლიზინგის ხელშეკრულების დანიშნულებად დაფინანსება ითვლება, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დაფინანსების სხვა ფორმებისაგან განხვავებით ლიზინგის გამცემს საშუალება აქვს გასწიოს უფრო მაღალი საკრედიტო რისკი. სალიზინგო მომსახურების მეშვეობით მომხმარებელი ძვირადღირებულ ობიექტს ეუფლება, რისი მიღწევა მისთვის სხვა გზით გაცულებით უფრო რთული იქნებოდა ან შეუძლებელი. ლიზინგით დაფინანსება ხელსაყრელია როგორც მცირე, ისე საშუალო ბიზნესისათვის, რაც ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. სახელმიფოს მხარდაჭერა ბიზნესის განვითარებაზე უშუალოდ მოქმედებს.[78] სწორედ ამ მიზეზითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ საგადასახადო კანონმდებლობა სალიზინგო კომპანიებს გარკვეულ შეღავათებს უწესებს.[79]

სალიზინგო საზღაურის განსაზღვრის დროს მნიშვნელობა ენიჭება ნივთის როგორც არსებულ, ისე სამომავლო მდგომარეობას, ხელშეკრულების ვადას, ლიზინგის მიღების გადახდისუნარიანობის საკითხს. შესაბამისი რისკების

---

[74]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 510.

[75] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 08.01.2019, 2/ბ-1246-2018, პუნქტი 4.15.1.

[76]იხ. სსკ-ის 576 I; შდრ. 580[4] III;

[77]ენცო ლ. ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 526.

[78]Boobyer Ch, Leasing and Asset Finance: The Comprehensive Guide for Practitioners, 4th ed, London: Euromoney, 2003, 303.

[79]საქართველოს საგადასახადო კოდექსი,12/10/2010 მუხლი 202 ნაწილი 3 პუნქტი 3[1]. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=149> [31.06.2019]

გათვალისწინებით ხდება სალიზინგო ურთიერთობის სახის განსაზღვრა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვკითხულობთ "ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს სალიზინგო საზღაური დადგენილი პერიოდულობით"[80] გადახდის პერიოდულობის განმსაზღვრელი მატერიალურ საბუთი კი იწოდება გადახდის გრაფიკად. სასამართლომ ლიზინგის გამცემის მიერ სასამართლოში წარდგენილი გადახდის გრაფიკი მიიჩნია სასესხო ურთიერთობის დამამატკიცებელ საბუთად.[81] ხოლო, გრაფიკის არ ქონის შემთხვევაში გაურკველია თუ როგორ უნდა მოხდეს ლიზინგის მიმღების კანონით გათვალისწინებული ვალდებულების, საზღაურის გადახდის შესრულება. ლიზინგის მხარეები თავისუფალ არიან სალიზინგო საზღაურის პრინციპის განსაზღვრაში, თუმცა ადგენს მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობასა და პირგასამტეხლოს დაკისრების მაქსიმალურ მარჟებს.[82] ლიზინგის სესხად კვალიფიკაცია კანონმდებლობით ნებადართული წლიური საპროცენტო სარგებლის, სალიზინგო საზღაურის სიძვირისა, წინსწრების საკომისიოს და პირგასამტეხლოს არსებობის გამო არ არის მართებული.[83]

4.6.4.ხელშეკრულების კომერციული მიზანი

ლიზინგის ხელშეკრულების დანიშნულებად დაფინანსება განიხილება, ეს დასკვნა კი ლიზინგის სამმხრივ ტრანზაქციაში ლიზინგის გამცემის ვალდებულებების მაქსიმალური შეზღუდვიდან გამომდინარეობს.[84]

ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც სამეწარმეო(კომერციული), ისე არასამეწარმეო (მომხმარებლის) მიზნებისათვის. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ლიზინგის ხელშეკრულების მიზნობრიობაზე ყურადღების გამახვილება ლიზინგის

---

[80]საქართველო სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 576 ნაწილი1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]

[81] საჩხერის რაიონული სასამართლოს განჩინება,03.05.2019, 2/127-19.

[82] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 576, ნაწილი 6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N18/04 „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესის დამტკიცების თაობაზე", 05.02.2019, მუხლი 2.

[83] განსხ. აზრი - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები: 08.01.2019, 2/ბ-1246-2018, პუნქტები 2.5, 4.5.3, 4.10, 4.27.3, 4.29; 18.09.2018, 2/ბ-839-2018, პუნქტები 2.9-2.11; 19.09.2017, 2/ბ-706.

[84]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 71.

სესხად განმარტების საკითხში ზედმეტია.[85] ხელშეკრულების მიზანს, კერძოდ კომერციულს მიზანს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ საჯარო სამართლებრივი კუთხით, ვინაიდან სალიზინგო კომპანიებს აქვთ ვალდებულება საქართველოს ფინანსთა მონიტორინგის სამსახურს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით[86] მიაწოდონ ინფორმაცია იმ გარიგების თაობაზე , რომელიც დადებულია კომერციული მიზნით და ამასთან გარიგება ძვირადღირებული, საეჭვო ან უჩვეულოა.[87]

ხოლი არამეწარმე ლიზინგის მიმღების შემთხვევაშიი ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ჩართულობა იმ შემთხვევაში იქნება მნიშვნელოვანი, თუკი გარიგება იდება არასამეწარმეო მიზნით, მაგრამ გარიგების საგნის თვისებებიდამ გამომდინარე იგი აშკარად სამეწარმეო მიზნებს ემსახურება.[88]

V. ლიზინგის სახეები

მსოფლიო პრაქტიკაში ლიზინგის მრავალნაირი სახე არსებობს. მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: სალიზინგო ურთიერთობაში მონაწილეთა რაოდენობა, ლიზინგის ხელშკრულების ვადა, ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების ვალდებულების ფარგლები, ამორტიზაციის პირობები, სალიზინგო გადასახდელის ფორმა და სხვა. ეს კრიტერიუმები ლიზინგის ხელშეკრულებების განსხვავებულ კონტრუქციას განაპირობებს. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ლიზინგის ხელშეკრულებების კლასიფიკაცია გამართლებულია მხოლოდ იმ

---

[85] განსხ. აზრი - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 08.01.2019, 2/ბ-1246-2018, პუნქტი 4.4.2.

[86] საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, 16/06/2003, მუხლი 4 პუნქტი „ბ“ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/12580?publication=35>[25.06.3019]

[87]საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება N2 „სალიზინგო კომპანიების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 05.09.2013, მუხლი 2 პუნქტი „თ“ და „ი“, მუხლი 3, მუხლი 5 პუნქტი 13 ქვეპუნქტი „გ“.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N1/04 „უკანონო შემოსავლის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის საყურადღებო ზონების ნუსხის დადგენის თაობაზე, 09. 01.2017;

[88] მაგ: ლიზინგით გადაცემული სამშენებლო ტექნიკა, უნაგირა საწევარა, ბულდოზერი, ამწეები და ა.შ.

შემთხვევაში, თუკი ეს პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება.[89] სწორედ პრაქტიკული მნიშვნელობისაა ფინანსური ლიზინგის და ოპერატიული ლიზინგის გამიჯვნა, რადგან პირველი უფრო მეტად ნასყიდობის სამართლის ელემენტებს შეიცავს, მეორე კი ქირავნობის სამართლის მოწესრიგების საგნად წარმოდგება. სწორედ აქედან გამომდინარეობს შესაბამისი გასხვავება ისეთ საკითხებში როგორიცაა დაფინანსება,პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების მოშლის ვადა .[90]

თანამედროვე სალიზინგო ურთიერთობებში ძირითადად გამოიყენება შემდეგი სახის ლიზინგი:

5.1. საოპერაციო ლიზინგი (operating lease)

სალიზინგო კომპანიების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საოპერაციო ლიზინგს. ლიზინგის ხელშეკრულება, როგორც წესი ნივთის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ვადით იდება. აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს სწორედ ოპერატიული ლიზინგი, ეს სპეციფიკა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ დროს ლიზინგის ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ნივთის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ვადაზე ნაკლები ვადით,[91]ლიზინგის ხელშეკრულება იდება გაცილებით მოკლე ვადით, ვიდრე ეს საჭიროა ხელშეკრულებით გადაცემული ქონების სრული ამორტიზაციისათვის.[92] ამასთან ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, ლიზინგის საგანი უკან უბრუნდება ლიზინგის გამცემს, რომელსაც უფლება აქვს, კვლავ გადასცეს ლიზინგით იგივე ქონება ან შესაძლოა გაგრძელდეს ხელშეკრულების ვადა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.[93] ლიზინგის ეს სახე გამორიცხავს ლიზინგის მიმღების შესაძლებლობას შეიძინოს მიღებული ქონება.[94]

---

[89]ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576,. ველი 62.

[90]ენცო ლ. ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 530.

[91]<https://efinancemanagement.com/sources-of-finance/difference-between-operating-and-financial-lease>[25.06.2019]

[92] ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 514.

იხ.ასევე: ენცო ლ. ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 532.

[93]გეფერიძე დ., საჰაერო ხომალდის ლიზინგი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამართალი, N11-12, 2003, 72, <http://intlaw.ge/old/publikaciebi/statia%206.PDF> [27.05.2019];

[94] ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 514.

5.2. ფინანსური ლიზინგი (finance lease)

ფინანსური ლიზინგი (finance lease) სამართლებრივ ურთიერთობაში სამმხრივ ელემენტს გულისხმობს. ამ შემთხვევაში ნივთის გადაცემა ხდება ხანგრძლივი ვადით, თანაბარი ექსპლუატაციის ვადაში. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისას ლიზინგის მიმღებს შეუძლია შეიძინოს ლიზინგით გადაცემული საგანი და მიიღოს საკუთრებაში, თუკი ეს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით იქნება მოწესრიგებული.[95]

ფინანსური ლიზინგის განმსაზღვრელი კრიტერიუმად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ლიზინგის მიმღები და საგნის მიმწოდებელი (გამყიდველი) ერთი და იგივე პირი არ არის.[96] ამ ხელშეკრულების დამახასითებელ ნიშანს წარმოადგენს ასევე ის გარემოება, რომ ამ სამართლებრივ ურთიერთობაში ლიზინგის გამცემსა და მიმღებთან ერთად მონაწილეობს მესამე მხარე(ლიზინგის საგნის მწარმოებელი ან მიმწოდებელი).[97]

Operating lease-ის financial lease-სგან გამიჯვნის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ხარჯების განაწილების საკითხი. საოპერაციო ლიზინგის დროს ლიზინგის საგანთან დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის საგადასახადო) დაფარვის ვალდებულება აკისრია გამცემს, ხოლო ფინანსური ლიზინგის დროს გამცემის ვალდებულებას როგორც წესი, მხოლოდ ლიზინგის მიმღების დაფინანსება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სწორედ ლიზინგის მიმღებს ეკისრება ნივთთან დაკავშირებული, მათ შორის საგადასახადო ხარჯების დაფარვის ვალდებულება .[98]

5.3. დაბრუნებითი, იგივე უკულიზინგი(sale and leaseback)

სალიზინგო სამართლებრივი ურთიერთობის დროს ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღების არჩეულ ქონებას იძენს. შესაძლებელია ლიზინგის გამცემმა იმავე პირთან დადოს ლიზინგის ხელშეკრულება, ვისგანაც ნივთი

---

[95] გეფერიძე დ., საჰაერო ხომალდის ლიზინგი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამართალი, N11-12, 2003, 72, <http://intlaw.ge/old/publikaciebi/statia%206.PDF> [27.05.2019];

[96]Australian Accounting Standards Board, AASB 117, 01.12.2009, 14, <https://www.aasb.gov.au/admin/file/content105/c9/AASB117_07-04_COMPjun09_01-10.pdf> [30.03.2019].

[97] ქოქრაშვილი ქ., საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი და მისი დამკვიდრების რეალური ასპექტები საქართველოში, სამართალი, 3,2001, 36.

[98]Vitaly S. Guzhva, Sunder Raghavan, Damon_J. D'Agostino, Aircraft Leasing and Financing: Tools for Success in International Aircraft Acquisition and Management, 2018, 86. იხ.ასევე:<https://efinancemanagement.com/sources-of-finance/difference-between-operating-and-financial-lease> [24.05.2019].

იყიდა.[99] როდესაც ქონების მომწოდებელი (გამყიდველი) იმავდროულად ლიზინგის მიმღებიცაა და ლიზინგის ხელშეკრულება იმ პირობით დაიდო, რომ შესრულების შემთხვევაში საკუთრების უფლება ლიზინგის მიმღებზე გადავა, ამგვარ შეთანხმებას უკულიზინგს,[100] სხვანაირად დაბრუნებად ლიზინგს უწოდებენ.[101] იგი ფინანსური ლიზინგის განშტოებად განიხილება.[102] მისი მთავარი დამახასითებელი ნიშანია ორი ხელშეკრულების(ნასყიდობისა და ლიზინგის) დადება ერთსა და იმავე პირთან. დაბრუნებითი ლიზინგი საშუალებას აძლევს ლიზინგის მიმღებს საკუთარი ქონების გაყიდვით გაიუმჯობესოს თავისი ფინანსური მდგომარეობა და კვლავაც გამოიყენოს ეს ქონება მაგრამ არა როგორც საკუთარი. ამ ოპერაციას დაინტერესებილი პირი იყენებს, მაშინ მაშინ როდესაც ჭირდება დამატებით ფინანსური სახსრები. [103]

5.4 ლიზინგის სხვა სახეები

ზემოთაღნიშნული ლიზინგის სახეების გარდა განასხვავებენ შემდეგი სახის ლიზინგს:

ა) პირდაპირი ლიზინგი(direct lease)

პირდაპირი ლიზინგის დროს გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი. ამ შემთხვევაში დამამზადებელ - გამსაღებელი საწარმო ლიზინგის მიმღებს შუამავლის გარეშე გადასცემს სარგებლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებას.[104] პირდაპირი ლიზინგის დროს ლიზინგის საგნის შეძენა ხდება გამცემის მიერ მხოლოდ საკუთარი

---

[99]ენცო ლ.ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 530.

[100]გეფერიძე დ., საჰაერო ხომალდის ლიზინგი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამართალი, N11-12, 2003, 73, <http://intlaw.ge/old/publikaciebi/statia%206.PDF> [21.06.2019]; Chandraiah E, Evaluation of lease financing, New Delhi Concept Publ. 2004, 39.

[101]მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, რედ. გურგენიძე ვ., თბილისი, 2004, 483.

[102]Ronald C. C. Cuming, Model Rules for Lease Financing: A Possible Complement to the UNIDROIT Convention on International Financial Leasing, 3 Unif. L. Rev. n.s., 1998, 378.

[103]კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,2008, 37. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000390/vasil%20kikutadze%2C%20disert..pdf>[07.04. 2019]37

[104] კახაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV,ტ. I, თბილისი,2001, 150.

საშუალებით ბანკიდან ან სხვა ორგანიზაციებიდან მის მიერ მიღებულ კრედიტების ჩათვლით.[105]

ბ) არაპირდაპირი ლიზინგი-(indirect lease)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ისეთი სახის ლიზინგს, როდესაც ლიზინგის გამცემი ვალდებულია, შეიძინოს მწარმოებელი ფირმისგან ლიზინგის მიმღებისთვის საჭირო ქონება და გადასცეს მას.[106] არაპირდაპირი ლიზნგის დროს ხშირია ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციათა არაპირდაპირი მონაწილეობა სალიზინგო კომპანიათა დაფინანსებაში.[107] ასეთ დროს ლიზინგით ქონების გადაცემას ახორციელებს სალიზინგო კომპანია, რომელიც გამოდის შუამავლის როლში. სალიზინგო გარიგების ამ ფორმის კლასიკური ვარიანტია სამმხრივი სამართლებრივი ურთიერთობს არსებობა, რომლის დროსაც მხარეებად გამოდიან მომწოდებელი, ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები.[108]

გ) კომპენსაციური და შერეული ლიზინგი

სალიზინგო გადასახდელების ფორმის მიხედვით არჩევენ ფულადი ანაზღაურების ლიზინგს და კომპენსაციური ლიზინგს.[109] ამ უკანასკნელის შემთხვევაში ნივთის მიმღები საზღაურს იხდის პროდუქციით (მომსახურება, საქონელი, სამუშაო)[110]. შერეული ლიზინგის შემთხვევაში სალიზინგო საზღაურის გადახდა ხდება როგორც ფულით, ისე საქონლით(მომსახურებით).[111]

დ) სუფთა ლიზინგი (net leasing) და სველი ლიზინგი (wet leasing)

---

[105] გეფერიძე დ., საჰაერო ხომალდის ლიზინგი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამართალი, N11-12, 2003, 72, <http://intlaw.ge/old/publikaciebi/statia%206.PDF> [27.05.2019];

[106]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 512.

[107]ქოქრაშვილი ქ., საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი და მისი დამკვიდრების რეალური ასპექტები საქართველოში, სამართალი, 3,2001,37.

[108] კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,2008, 36.

[109] იქვე

[110]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 512.

[111]კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში,სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, 37.

ლიზინგით გაცემული ქონების მომსახურების მოცულობის მიხედვით განახვავებენ სუფთა და სველ ლიზინგს. სუფთა ლიზინგის (net leasing) დროს ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მხრიდან რაიმე მომსახურებას (ლიზინგის საგნის მოვლა- შენახვა, რემონტი და ა. შ.) ლიზინგის მიმღები მხარისადმი და ყველა ხარჯს მიღებული ქონების მოვლისადმი იხდის ლიზინგის მიმღები.[112]

სველი ლიზინგის (wet leasing) დროს, რომელსაც ასევე მოიხსენიებენ როგორც სრულ სერვისიან (full-service lease) ლიზინგად, ლიზინგის საგნის მომსახურების ყველა ხარჯს იხდის ლიზინგის გამცემი. როგორც წესი , ლიზინგის გამცემი ასეთ დროს ასეთ დროს არის შესაბამისი ნივთის წარმოებელი ანდა მისი შვილობილი ფირმები.[113]აღნიშნული ლიზინგი საკმაოდ ძვირადღირებულია.

ე) გაყოფადი ლიზინგი(leveraged leasing)

ლიზინგის ეს სახე გამოიყენება ძვირადღირებული ფართმასშტაბიანი პროექტების დასაფინანსებლად არა ერთი, არამედ რამდენიმე სალიზინგო კომპანიის დახმარებით და სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო რესურსების გამოყენებით.[114] იგი გულისხმობს ლიზინგის დაფინანსებას დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყენებით.[115]

ვ) სრული გამოსყიდვის (Full- payout lease) და ნაწილობრივი გამოსყიდვის(Non full -payout lease)

სალიზინგო ქონების გამოსყიდვის ვადის, გამოსყიდვის ხარისხის და მასთან დაკავშირებული ამორტიზაციის პირობების მიხედვით არსებობს სრული გამოსყიდვის(Full- payout lease) და შესაბამისად სრული ამორტიზაციის ლიზინგი, რომლის დროსაც სალიზინგო ხელშეკრულების ვადა ემთხვევა ლიზინგით გადაცემული ქონების ნორმატიულ ვადას და ლიზინგის გამცემი ,სალიზინგო საზღაურის სახით მთლიანად ინაზღაურებს გაცემული ქონების ღირებულებას. რაც შეეხება ნაწილობრივი გამოსყიდვის(Non full -payout

---

[112] იქვე,
იხ.ასევე:ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 512.

[113]იქვე.

[114]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 512.

[115]კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,2008, 37.

lease) ლიზინგს, ამ შემთხვევაში ლიზინგის ხელშეკრულების ვადა ნაკლებია ლიზინგის საგნის ნორმატიულ ვადაზე.[116]

ზ) საერთაშორისო ლიზინგი (cross border leasing)

საერთაშორისო ლიზინგის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ლიზინგის მონაწილე მხარეებს გააჩნიათ ბიზნესი სხვადასხვა ქვეყნებში ან არიან სხვადასხცა ქვეყნის რეზიდენტები. სალიზინგო გარიგების სამმხრივი ხასიათიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვასხვაოთ 4 სახის საერთაშორისო ლიზინგი[117]:

ა) ექსპორტული ლიზინგი -ლიზინგის გამცემი და მომწოდებელი ერთი ქვეყანას წარმოადგენენ, ხოლო სალიზინგო ოპერაცია ხორციელდება სხვა ქვეყანაში.

ბ) იმპორტული ლიზინგი-ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები ერთ ქვეყანაშია, ხოლო მომწოდებელი სხვა ქვეყნის წარმომადგენელია.

გ) საერთაშორისო დაფინანსების ლიზინგი- როცა ლიზინგის გამცემი, ხოლო ლიზინგის მიმღები და მომწოდებელი სხვადახვა ქვეყნების წარმომადგნელებია.

დ)საერთაშორისო ლიზინგი მკაცრი პირობებით- ამ შემთხვევაში ლიზინგის ოპერაციაში მონაწილე სამივე სუბიექი სამ სხვადასხვა სახელმწიფოს წარმოადგენს.

შესაბამისად, იმდენი დამოუკიდებელი სახის ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება არსებობდეს, რამდენი სახის და რა პირობების ხელშეკრულება გაფორმდება მხარეთა შორის. მათი არსის დადგენა კი მხოლოდ გამიჯვნის კრიტერიუმებით ვერ დადგინდება, ეს უნდა დადგინდეს ხელშეკრუების პირობების სისტემური ანალიზის გზით.

---

[116] იქვე, 39

[117]Roshi U., A Legal Analysis Of Financial Leasing And Its Unification By Unidroid, European International Virtual Congress Of Researches,ISSN 2059-2752,2016.19 <https://www.idpublications.org/wp-content/uploads/2016/03/Full-Paper-A-LEGAL-ANALYSIS-OF-FINANCIAL-LEASING-AND-ITS-UNIFICATION-BY-UNIDROIT.pdf>[28.06.2019]

VI.ლიზინგის ხელშეკრულების საგანი დ ალიზინგის უფლების რეგისტრაცია

კერძო სამართალში მონაწილე სუბიექტები თავიანთი ქცევით ზემოქმედებას ახდენენ როგორც ერთმანეთზე,რაშიც იგულისხმევა ურთიერთობის შინაარსი,ასევე გარკვეულ მატერიალურ სიკეთეზე კერძოდ, სამართლის ობიექტზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლით მიხედვით კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. ეს განმარტება ზოგადი ხასიათისაა და მიმართულია სამოქალაქო ბრუნვაში არსებული განუსაზღვრელი ქონებისაკენ. [118] ობიქტის ეს ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული სსკ-ის 147-ე მუხლით განსაზღვრულ ქონების ცნებასთან, იგი მე-7 მუხლში მოცემული ობიექტის შინაარს აზუსტებს და მას „ქონების" სახელწოდებით განამტკიცებს. ობიექტის ცნებას არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და იგი 147-ე მუხლში მოცემული „ქონების „ ცნების იდენტურია. [119] სსკ-ის 147-ე მუხლის მიხედვით ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ლიზინგის საგნის განსაზღვრა აუცილებელია ლიზინგის ხელშეკრულებაში, მისი თავისებურება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსზე.

ლიზინგის საგნის ლეგალურ დეფინიციას ქართული კანონმდებლობა არ იძლევა, თუმცა მისი გასნაზღვრის დროს უნდა გავითვალსიწინოთ როგორც სამოქალაქო კოდექსის, ისე საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვები.საინტერესოა ოტავის კონცენციის მიერ დეკლარირებული ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეფინიციის განმარტება. ამ აქტის მიხედვით, ქონების ცნებაში გაერთიანებულია როგორც მოძრავი, ისე უძრავი ობიექტები, იმ დათქმის გათვალისწინებით, რომ მათი გამოყენება დაეფუძნება სამეწარმეო, სავაჭრო ან პროფესიულ მიზნებს[120]. ეს ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მცენარეებს, ასევე, ჯერ კიდევ დაუბადებელ ცხოველებსაც კი. თუმცა აღნიშნული სამართლებრივი რეგულირება ბუნდოვანია, ვინაიდან ლიზინგის საგნის ერთ-ერთ დამახასიათებლ ნიშანს წარმოადგენს ამორტიზაციის

[118] მეშველიშვილი ს., სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N4(39), 2013, 84.

[119] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 139; კერესელიძე დ., უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 185.

[120] ოტავის კონვენცია, 28.05.1988, მუხლი 2.

გათვალისწინება.ლიზინგის თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ გადაცემული საგანი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ინარჩუნებს არსებულ თვისებებს და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ , ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით უბრუნდება ლიზინგის გამცემს, ან/და გადადის მიმღების საკუთრებაში.[121]

6.1 მოძრავი ქონება , როგორც ლიზინგის საგანი

სსკ-ის 576-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.[122]ამ თვალსაზრისით ლიზინგის მომწესრიგებელ ნორმებს ცვლილება არ განუცდიათ ვინაიდან "სალიზინგო ურთიერთობების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში განმარტებული იყო ლიზინგის საგანი, რომელშიც მოიზარებოდა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება.[123] ლიზინგის საგნის სამართლებრივი ბუნების განსაზღვირისას მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინება. ლიზინგის საგანი არ შეიძლება იყოს ფული, ფასიანი ქაღალდი, წილი ან პაი სამეწარმეო საზოგადოებაში.[124]აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია იზიარებს ოტავის კონვენციის რეგლამენტაციას. კერძოდ კანონმა იმპერატიულად დაადგინა იმ ობიექტთა ჩამონათვალი, რომელიც არ შეიძლება იყოს ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალსიიწნებული ობიექტი. კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვა განპირობებულია ლიზინგის ხელშეკულებით გათვალსიწნებული საგნის თვისებებით, ცვინაიდან გადაცემული ქონება ლიზინგის ხელშეკეულების მოქმედების მთელ პერიოდში ინარჩუნებს გაცემის დროისათვის არსებულ თვისებებს და ხელშეკულების ვადის გასვლის შემდგომ, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით ან უბრუნდება ან/ და გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში. ფული, ფასიანი ქაღალდი, წილი და პაი სამეწარმეო

---

[121]მეშველიშვილი ს., სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N4(39), 2013, 85.

[122] იხ. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ.მუხლი 11.1 „ი"; შდრ. მუხლი 16.1 „ბ"

[123]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 510

[124]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 576, ნაწილი 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]

საზოგადოებაში კი ,მიმოქცევადი ფინანსური ინსტიტუტებია. მათი თვისებები არ იძლევიან ლიზინგის საგნად განხილვის შესაძლებლობას.[125]

ლიზინგის საგნის თავისებურებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთ-ერთ საქმეზე[126], ლიზინგის საგნის არასრულად მიწოდების გამო ხელშეკრულების მოშლას ითხოვდა მოსარჩელე. მოპასუხის მიერ შემოტანილი იქნა შეგებებული სარჩელი. მისი მითითებით "ლიზინგის ხელშეკრულებით მისაწოდებელი საქონელი, ცალ-ცალკე აღებული, წარმოადგენს მოძრავ ნივთებს, რომლებიც არ არის ერთმანეთის შემადგენელი ნაწილები, მაგრამ განკუთვნილია ერთმანეთის სამსახურისათვის და დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც თუნდაც ერთი რომელიმე მოწყობილობის მიუწოდებლობა ითვლება კომპლექტის შეუვსებლობად და გამორიცხავს დანარჩენის გამოყენების შესაძლებლობას."[127] თბილისის საოლქო სასამართლო სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეების კოლეგიის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. „სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიზინგის მიმღებისათვის გადასაცემი ქონება წარმოადგენს კონკრეტული, ცალკეული ნივთების ერთობლიობას. დადგენილია, რომ ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის გადაცემული არ ყოფილა ნივთობრივად ნაკლის მქონე არცერთი ნივთი."[128] კოლეგია თვლის რომ „ლიზინგის ქონების არასრული გადაცემა ლიზინგის მიმღებისათვის განპირობებულ იქნა ლიზინგის გამცემის მიერ ხელშეკრულების ვადამდე მართლზომიერი შეწყვეტით" აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა. სასამართლოს მითითებით ლიზინგის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია რომ ხდება საგნის გადაცემა, ხოლო საზღაური გადაიხდება სარგებლობისათვის.[129] მისი მითითებით „სასამართლომ უნდა გაარკვიოს ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების მიწოდების გარეშე, ცალკე აღებული მიწოდებული აღჭურვილობა უზრუნველყოფდა თუ არა ტექნოლოგიური პროცესის წარმართვას. თუ დადგინდება, რომ მიწოდებული აღჭურვილობა

[125]მეშველიშვილი ს., სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N4(39), 2013, 85.

[126] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 08.11.2002, N 3კ-771-02 .

[127] იქვე

[128] იქვე

[129] იქვე

ცალკე აღებული არ უზრუნველყოფდა ტექნოლოგიური პროცესის წარმართვას, ცხადი ხდება, რომ მითითებული აღჭურვილობა მიმღებს უნდა მიწოდებოდა ერთდროულად, რათა ეწარმოებინა აღჭურვილობის ექსპლოატაცია და შესაბამისად გადაეხადა ლიზინგის საფასური.“[130]

6.2. უძრავი ქონება ,როგორც ლიზინგის საგანი

სამოქალაქო კოდექსის თანახმად ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს უძრავი ქონება, რომელსაც მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. უძრავ ქონების ლიზინგის საგნად გამოყენებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეზღუდვა, კერძოდ ამორტიზაციასათან დაკავშირებული რეგულაცია. სამოქალაქო კოდექსის ლიზინგის მომწესრიგებელ ნორმებში ტერმინი ამორტიზაცია ამოღებულია. ოტავის საერთაშორისო კონვენციაში პრინციპის დონეზეა მითითებული ამორტიზაციის ხარჯის გათვალისწინებით სალიზინგო საზღაურის დადგენა,[131] რომის მოდელური კანონით კი აღნიშნული მხარეებს ნება-სურვილზეა დამოკიდებული.[132] ტერმინი ამორტიზაცია საგადასახადო კოდექსში გამოიყენება და გადასახადის გადამხდელს უმცირებს გადასახადებს.[133] ამდენად, გადამწყვეტია ლიზინგის მიმღები მეწარმე სუბიექტია თუ არა, რადგან ფინანსური ლიზინგისას ცვეთის დარიცხვა ლიზინგის მიმღებს ეკისრება, ხოლო საოპერაციო ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის გამცემს.[134]

საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის ლიზინგი განიმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ოღონდ იმ პირობით, რომ ლიზინგის საგანი უნდა იყოს ამორტიზაციას დაქვემდებარებული

---

[130] იქვე

[131] ოტავის კონვენცია, 28.05.1988, მუხლი 1 პუნქტი 2 ქვეპუნქტი c;

[132] რომის მოდელური კანონი, 13.11.2018, მუხლი 2 პუნქტი c,

[133]საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 12/10/2010, მუხლი 111, 112 და სხვ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=149> [31.06.2019]
იხ.ასევე:ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, 108, 421, <http://nccl.ge/m/u/ck/files/Tax%20Code%20Commentaries%20I(1).pdf> [30.06.2019].

[134] ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება N6-26 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ, 26.12.2017;
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, პუნქტები 20.12 და 20.26, <https://saras.gov.ge/Content/files/Final-IFRS_for_SMEs_2017_%2017-october.pdf> [30.06.2019]. საერთაშორისო სტანდარტში ფინანსური და საოპერაციო ლიზინგის ცნება ნათარგმნია, როგორც იჯარა.

აქტივი.[135] ამავე კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად კი ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას. აღნიშნული რეგულაციის გამო ქართულ ბაზარზე უძრავი ქონების ლიზინგი საჭიროებს საკანონმდებლო მოწესრიგებას.

ზოგადად, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად არის მოწესრიგებული ლიზინგის საგნის ჩამონათვალი. შედარებისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ბელორუსიის მაგალითი. ამ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ლიზინგის საგნად ვერ განვიხილავთ მიწას და ბუნებრივ რესურსებს. რაც შეეხება რუსეთის კანონმდებლობას, აღნიშნულის მიხედვით აკრძალულია საწარმოს უკუქცევით და არამიმოქევად აქტივებზე ლიზინგის ხელშეკრულების დადებას, აღნიშნული კი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ არ გააჩნიათ მატერიალური (საგნობრივი) მდგომარეობა[136].

6.3.ლიზინგის უფლების რეგისტრაცია

6.3.1. უძრავ ქონებაზე ლიზნგის უფლების რეგისტრაცია

საქართველოს კანონმდებლობა კერძოსამართლებრივი უფლებების წარმოშობისათვის უძრავ და მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით განსხვავებულ რეგულაციას აწესებს. სწორედ ამ რეჟიმზეა დამოკიდებული მათი უსაფრთხოების, განხორციელებისა თუ დაცვის ფარგლები და სამართლებრივი შედეგები. "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს იმ ვალდებულებითი უფლებების ჩამონათვალს, რომელთა რეგისტრაციის სავალდებულოობას არ ითვალისწინებს საქართველოს მატერიალური სამართალი.(სსკ) „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, უძრავ ნივთზე ლიზინგის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. [137]

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რა როლს თამაშობს რეგისტრაციის ფაქტი და რამდენად შესაბამისობაშია იგი კერძოსამართლებრივი ბრუნვის პრინციპებთან. სავალდებულო რეგისტრაციის დაწესება ვალდებულებითი უფლებების წარმოშობის წინაპირობად არ არის მართებული, ვინაიდან მათი უსაფრთხოება მატერიალური სამართლის მიხედვით არ არის საჯარო ნდობის პრინციპთან

---

[135]საქართველოს საგადასახადო კოდექსი,12/10/2010, მუხლი 8, პუნქტი 38. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=149> [31.06.2019]

[136] მეშველიშვილი ს., სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N4(39), 2013, 85. იხ.ციტირება: Щеголева НГ.Лизинг, Москва 2005,9. ციტირებულია

[137]"საჯარო რეესტრის შესახებ"საქართველოს კანონი, 30/12/2008,მე-11 მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=23>[31.06.2019]

დაკავშირებული, ასევე ვალდებულებითი უფლებები არ განეკუთვნებია აბსოლუტურ უფლებებს.[138] უძრავ ნივთებზე რეგისტრაცის სავალდებულოობა უნდა ემსახურებოდეს მხარეთა ინტერესს, მათ უსაფრთხოებას და არა სახელმწიფოს ინტერესს. „რეგისტრაცია არის უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის, შეცვლის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების იურიდიული აქტი, რითაც რეგისტრაციის განმახორციელებელი კისრულობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობათა კომპლექსის დაცვის ვალდებულებას.[139]

საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობის და სისრულის პრეზუმფცია. რეესტრის მონაცემები ითვლება სწორად ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.[140] სსკ -ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ სერიოზული გამოვლინებაა სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერებისა. ესაა სახელმწიფოს სერიოზული პასუხისმგებლობა ბრუნვის მონაწილეთა მიმართ.[141] საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციით საზოგადოებას აქვს კონტროლის მყარი მექანიზმი, რეგისტრირებული მონაცემების ნამდვილობასთან დაკავშირებით. სამოქალაქო სამართლებრივი ბრუნვის მონაწილეს „რეესტრის საჯაროობა“ უადვილებს, სრული ინფორმცია მიიღოს თავისი პარტნიორის უფლებათა სამდვილი მდგომარეობის შესახებ.[142]
ქონებაზე ლიზინგის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ემსახურება მესამე პირების ინფორმირებულობას ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

6.3.2.მოძრავი ქონებზე ლიზინგის უფლების რეგისტრაცია

6.3.2.1.მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესაძლებლობა

მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლების რეგისტრაციის საკითხზე მსჯელობისას ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ საჯარო რეესტრში და სსიპ

---

[138] ლაფაჩი ე,. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებაზე და დაცვაზე,სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 15.
[139] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, 28.02.2013, #ბს-367-363 (კ-12).
[140]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 312, ნაწილი 1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]
[141] ზოიძე.ბ, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი,2005.261.
[142] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი,2003, 365.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებადი ლიზინგის უფლება.საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში გაკეთდა ჩამონათვალი, რომლითაც განისაზღვრა თუ, რომელი უფლებები არ განეკუთვნება სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებულ უფლებათა რიცხვს, მაგრამ შესაძლებელია მათი რეგისტრაცია. კერძოდ, იგი ითვალიწინებს მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლების რეგისტრაციას მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ უფლებათა რეესტრში, მაგრამ ამ უფლების რეგისტრაციის სავალდებულოობა არ არსებობს. ამ კანონის მიზნებისთვის მოძრავ ქონებას მიეკუთვნება ნებისმიერი ნივთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ არის უძრავი, გარდა მექანიკური სატრანსპორტო, საფრენი და მცურავი საშუალებებისა.[143] ლიზინგის უფლების რეგისტრაციით მოძრავი ნივთის მესაკუთრეს ეძლევა შესაძლებლობა დაიცვას საკუთრების უფლება. მოძრავი ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი რეჟიმიდან გამომდინარე აღნიშული გზა საკმაოდ ეფექტურია სასურველი შედეგის მისაღწევად. რეგისტრაცია მოძრავ ნივთზე მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის წინააღდეგაა მიმართული, რათა ლიზინგის მიმღების მხრიდან ნივთის არამართლზომიერად გასხვისების შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენის არსებობა იქნეს თავიდან აცილებული. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, ხოლო ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან.[144] აღნიშნული დანაწესი უზრუნველყოფს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების დაცვა. სავინდიკაციო სარჩელის შემთხვევაში, მფლობელობის გადაცემა კეთილსინდისიერ პირზე საკუთრების მოპოვებისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რითაც კეთილსინდისიერი შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე და ეს ფაქტი მის წინააღმდეგ აღძრულ სავინდიკაციო სარჩელს უსაფუძვლოს ხდის, რადგან მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს ქმედების შემადგენლობის ნიშანს – „საკუთრებას“. მხარეებს შორის არსებული პროცესუალური წესების თანახმად, მესაკუთრემ უნდა დაამტკიცოს საკუთრების უფლება და არა მფლობელმა მისი არარსებობა.[145]ფლობელობის საფუძველზე მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია შესაძლებელია, მესაკუთრემ უარყოს იმ გარემოებების

---

[143] “საჯარო რეესტრის შესახებ“საქართველოს კანონი,30/12/2008, მუხლი16,პუნქტი ბ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=23>[31.06.2019]

[144] “საჯარო რეესტრის შესახებ“საქართველოს კანონი,30/12/2008 158-ე მუხლი, ნაწილი 2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=23>[31.06.2019]

[145]რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 158, ველი2.

დამტკიცებით, რომ ნივთზე პირდაპირი მფლობელობის წარმოშობას არ გამოუწვევია საკუთრების მოპოვება. სწორედ აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა ლიზინგის უფლების რეგისტრაციის განხორციელება საჯარო რეესტში, როდესაც ლიზინგის მიმღებისათვის მოძრავი ნივთის გადაცემა ხდება პირდაპირ მფლობელობაში.

6.3.2.2. ლიზინგის უფლების რეგისტრაცია მომსახურების სააგენტოში და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

2017 წლის 31 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრის N532-ე ბრძანების განისაზღვრა ლიზინგის უფლების რეგისტრაცია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.[146]აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სააგენტო ახორციელებს ლიზინგის რეგისტრაციას სააგენტოში ლიზინგის გამცემზე რეგისტრირებულ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე. შესაბამისად, მოძრავი ქონების სწორედ აღნიშნულ ნაწილზე არის შესაძლებელი ლიზინგის უფლების რეგისტრაცია სააგენტოში. ლიზინგის გამცემი ზოგადად და მოცემულ შემთხვევაშიც არ არის ვალდებული მოძრავი ნივთზე ლიზინგის უფლება დაარეგისტრიროს აღნიშნულ ორგანოში. კანონი მას არჩევანის თავისუფლებას ანიჭებს. ამასთან სააგენტო იხსნის პასუხისმგებლობას ლიზინგის ხელშეკრულების მხარეების მიერ მიღწეულ შეთანხმების შინაარსზე და მისი შეუსრულებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე.[147]აღნიშნული ცვლილების განხორციელების ძირითადი მიზანი იყო ლიზინგის გამცემისთვის გაეადვილებინა ლიზინგის მიმღების მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში საგნის მფლობელობაში დაბრუნება სალიზინგო მოწმობის გაცემის გზით და ამასთან, ლიზინგის გამცემისათვის (მესაკუთრისათვის) თავიდან აეცილებინა „ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 01 დეკემბრის N510 დადგენილების დარღვევის შემთხევაში მითვის ჯარიმის დაკისრება. თუმცა, ქართულ ბაზარზე წამყვანმა სალიზინგო კომპანიებმა უარი თქვეს სააგენტოში ლიზინგის უფლების რეგისტრაციაზე. აღნიშნული კი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ

[146]საქართველოს მინისტრის ბრძანება N 892 “ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 02.07.2007,მუხლი 1 , პუნქტი ა.

[147] იქვე, მუხლი 14^2,პუნქტი 7.

საკმაოდ მაღალი ხარჯის გაწევა ლიზინგის გამცემს რეგისტრაციისათვის, ვინაიდან მას ჯერ საკუთარ სახელზე უნდა გაეფორმებინა საგანი და შემდგომ დამატებით გადაეხადა ლიზინგის უფლების რეგისტრაციის საფასური. ამასთან, ორივე რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო ერთსა და იმავე დღეს.

სალიზინგო კომპანიებმა მოძებნეს გამოსავალი აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიზნებისთვის სხვაგვარად მიღწევის გზით. კერძოდ,ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნების თაობაზე განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟი სასამართლო პრაქტიკის თანახმად განისაზღვრა 60 ლარით, შესაბამისად ლიზინგის მოწმობის გამო ლიზინგის უფლების რეგისტრაცია ლიზინგის გამცემისათვის აღარ წარმოადგენს უფრო ხელსაყრელ გზას სამართლებრივი შედეგის მიღწევისათვის. რაც შეეხება ჯარიმების საკითხს, ამ მხრივ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ტექნიკური ინსპექტირების ვალდებულების დარღვევის გამო დაჯარიმების საკითხი, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაც ამ მიმართულებით ლიზინგის გამცემის ინტერესების სასარგებლოდ ჩამოყალიბდა.[148]

6.4.მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებად საგანზე ტექნიკური დათვალიერების ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისათვის სამართავად გადაცემა/საექსპლუატაციოდ გადაცემა/საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება იწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ სამართალდარღვევის ეს ფაქტი ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირდება, აღნიშნული ჯარიმა გადაიხდება იმ პირის მიერ რომელზედაც სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობა ბოლოს არის გაცემული . ასეთს პირს კი წარმოადგენს საგნის მესაკუთრე, ლიზინგის გამცემი. ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციოდ გადაცემა ნორმის დარღვევად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი რეგისტრაციიდან გასულია 30

[148] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 26.11.2018, 4/8876-18;
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 15.10.2018, 4/7503-18;

დღე.[149]შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოწერილი საჯარიმო ქვითრები მიმართული იყო ლიზინგის გამცემის მიმართ,ხოლო ლიზინგის გამცემის მიერ მათი გასაჩივრების შედეგად სასამართლომ შექმნა ერთიანი პრაქტიკა აღნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, სასამართლოს მიერ ლიზინგის გამცემის სახელზე გამოწერილი უკლებრივ ყველა ჯარიმა და დადგენილება გაუქმებული იქნა.[150]

სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე[151]დადგენილების დასაბუთებაში მიუთითებს ლიზინგის საერთაშორისო მნიშვნელობაზე, მოყავს მაგალითად 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია და 2008 წლის 13 ნოემბრის რომის მოდელური კანონი. აღნიშნული და ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე სასამართლომ დადგენილებაში მიუთითა, რომ პასუხისმგებლობის სუბიექტთა დიფერენცირება სამართალურთიერთობის იურიდულიული ელემენტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს და პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ლიზინგის მიმღებს. „ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ლიზინგის მიმღები ნივთის უფლებისა და ტრანპორტირების უფლების გარდა , სარგებლობს მესაკუთრის უფლებით, იღებს მატერიალურ სიკეთეს ლიზინგის საგნის სარგებლობის შედეგად. ლიზინგის გამცემის კავშირი ლიზინგის საგანთან შეზღუდულია ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და ლიზინგის მიმღები დამოუკიდებელია თავის მოქმედებაში ლიზინგის საგანთან მიმართებაში“სასამართლოს შეფასებით ლიზინგის დროს ლიზინგის საგანი გასულია ლიზინგის გამცემის მფლობელობიდან და მისი საკუთრების უფლება ლიზინგის ხელშეკრულების სფეციფიკიდან გამომდინარე ნომინალურია და უზრუნველყოფის ფუნქციით არის დატვირთული, ხოლო ლიზინგის მიმღები მესაკუთრისამებრ ფლობს ნივთს და ამგვარი ურთიერთობის ფარგლებში მისთვის გარანტირებულია კანონის საფუძველზე ნივთით სარგებლობის შედეგად მატერიალური სიკეთის მიღების შესაძლებლობა.[152]

---

[149] საქართველოს მთავრობის დადგენილება 510,2017 წლის 1 დეკემბრის., მუხლი 8, პუნქტი 5

[150] გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 21 იანვრის დადგენილება 21.01.2019;4/456-18;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 04.12.2018, 4/8878-18;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 26.11.2018, 4/8876-18;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 15.10.2018, 4/7503-18;

[151] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 15.10.2018, 4/7503-18;

[152] იქვე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ[153] განმარტა,რომ ლიზინგის გამცემი მიერ ლიზინგის მიმღებისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემა არ ხდება სამართავად ან საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც დადგენილი წესით გავლილი აქ ჰქონდა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება. ვინაიდან მხარეებს შორის არსებობდა ლიზინგის კერძს სამართლებრივი ურთიერთობა, აქედან გამომდინარე არ წარმოშობილა "საგზაო მოძრაობის შესახებ „საქართველოს კანონი მოწესრიგებული შემთხვევა. სასამართლოს განმარტებით " ლიზინგის ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა, ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის თანხვედრი უფლებებთა და მოვალეობებით. ლიზინგის მიმღები უფლების თვალსაზრისით უთანაბრდება მესაკუთრეს, იურიდიული საფუძვლით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას და სარგებლიანად იყენებს ავტოსატრანსპორტო საშუალებას, ან უწევს ფიზიკურ კონტროლს საკუთარი ინტერესების შესაბამისად."[154]

ვინაიდან, სასამართლომ შექმნა ერთიანი პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ლიზინგის გამცემის სახელზე გამოწერილი უკლებრივ ყველა ჯარიმა და დადგენილება გაუქმებული იქნა, უკვე სასამართლომდე აღარ მიდის აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზა. ლიზინგის გამცემის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ კმაყოფილდება მოთხოვნა საჯარიმო ქვითარის გაუქმების თაობაზე.

VII.ხელშეკრულების მხარეთა უფლება მოვალეობები და ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

7.1.ლიზინგის მიმღების უფლებები მიმწოდებლის მიმართ

სსკ-ის 577 I-ის თანახმად ლიზინგის გამცემსა და მიმწოდებელს შორის არსებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მიმწოდებლის ვალდებულებები არსებობს ლიზინგის მიმღების წინაშეც, თუმცა მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ერთდროულად ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების მიმართ ერთსა და იმავე ზიანზე. ამასთან ლიზინგის გამცემი ვალდებულია მოთხოვნისთანავე დაუთმოს ლიზინგის მიმღებს თავისი უფლებები, რომლებიც უკავშირდება მიმწოდებელთან

[153]თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 21.12.2018, 4/9450-18 .

[154] იქვე

დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნას.[155]ქონების მიღების შემდეგ, ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მიმწოდებლისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ქონება არ შეესაბამება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობებს. აღნიშნული მოთხოვნის წინაპირობა უკავშირდება უშუალოდ ლიზინგის საგნის მიღებას, ამასთან , ამ შემთხვევაში კანონმდებელი ლიზინგის საგნის მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებასთან შეუსაბამობაზე ამახვილებს ყურადღებას. სსკ -ის 580-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, თუ ქონება ლიზინგის მიმღებს არ მიეწოდა, ვადაგადაცილებით ან ის არ შეესაბამება ლიზინგის ხელშეკრულების პირობებს, ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს, არ მიიღოს ქონება და მიმწოდებლისგან მოითხოვოს იმგვარი ქონება, რომელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისი იქნება, ან/და მოითხოვოს მისგან ზიანის ანაზღაურება. 580[1] I-ის მოწესრიგების სფერო გაცილებით ფართოა და ის მოიცავს როგორც ლიზინგის საგნის მიწოდების, ისე მისი ვადაგადაცილებით მიწოდებისა და მიუწოდებლობის შემთხვევებსაც.[156] აღნიშულ შემთხვევაში კი ლიზინგის ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობა იგულისხმება. აღსაღნიშნავია, რომ ზემოხსენებულ ნორმათა დანაწესმა არ უნდა გამოიწვიოს მათი არაერთგვაროვანი განმარტების პრობლემა. თავისთავად, ლიზინგის საგნის ხარისხობრივი მაჩვენებლები შეიძლება განისაზღვროს როგორც ნასყიდობის (მიწოდების), ისე ლიზინგის ხელშეკრულებით. თუმცა, ლიზინგის მიმღების მოთხოვნების პირდაპირ მიმწოდებლისკენ მიმართვის შემთხვევაში მიმწოდებლის პასუხისმგებლობა ნასყიდობის (მიწოდების) ხელშეკრულებით განისაზღვრება.[157]

ოტავის კონვენციამ მსგავსი წინაპირობების არსებობისას ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს. კონვენციის მიხედვით, ლიზინგის მიმღების მოთხოვნები ლიზინგის საგნის მიუწოდებლობის, დაგვიანებითმიწოდების, მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარისხთან შეუსაბამო საგნის მიწოდების შემთხვევაში ლიზინგის გამცემის მიმართ მიემართება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ მოცულობით, რაც ლიზინგის გამცემის ქმედებით არის გამოწვეული.[158]ასეთი მოწესრიგებით ნათლად გამოიხატება ლიზინგიის ტრანზაქციის სამართლებრივი ბუნება და მხარეთა სამმხრივი მონაწილეობა მის შესრულებაში. მიმწოდებლის მიმართ

---

[155] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997,მუხლი 580,ნაწილი 2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]

[156] ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 580[1], ველი 2.

[157] იხ.2008 წლის 13 ნოემბრის რომის მოდელური კანონის მე-17 მუხლი.

[158] ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 580[1], ველი 5.

მოთხოვნის უფლების დაწესება ცალსახად ლიზინგის მიმღების დაცვის მიზანს ემსახურება. თუმცა, ასეთი მოწესრიგებით კანონმდებელის ამ მხრივ ტრანზაქციაში ჩართული თითოეული მონაწილის ინტერესის გათვალისწინებას ცდილობს.[159] ქართველი კანონმდებელიც მიმწოდებლის ინტერესსაც ითვალისწინებს. კერძოდ, მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ერთდროულად ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების მიმართ ერთსა და იმავე ზიანზე. მიმწოდებლის მიმართ არსებული მოთხოვნები ლიზინგის მიმღებზე გამცემისგან გადადის. სსკ-ის 577 II-ის მიხედვით, ლიზინგის გამცემი ვალდებულია მოთხოვნისთანავე დაუთმოს ლიზინგის მიმღებს თავისი უფლებები, რომლებიც უკავშირდება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნას. აღნიშნული დანაწესი გათვალისწინებულია მოდელური კანონის მე-7 მუხლში. მუხლის თანახმად, თუ მოთხოვნის დათმობა არ განხორციელდა, ლიზინგის გამცემი განიხილება მიწოდების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ადრესატად.

ლიზინგის საგნის მიღება არ ართმევს ლიზინგის მიმღებს ქონების ნაკლთან დაკავშირებული მოთხოვნების გამოყენების უფლებას. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობად, მოცემულ შემთხვევაში, განიხილება მიწოდებული ლიზინგის საგნის შეუსაბამობა მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან. ლიზინგის მიმღები თავად ირჩევს ლიზინგის საგნის მიმწოდებელსა და ლიზინგის საგანს. ამ არჩევანში ის საკუთარ ცოდნასა და კონტრაჰირების გამოცდილებას ეყრდნობა. შესაბამისად, ის თავად ატარებს ნაკლიანი ქონების მიღების რისკს. თუ ლიზინგის საგანი დაზიანდა მიმღების მიერ მის მიღებამდე და ასეთ დაზიანებაში გამცემსა და მიმღებს ბრალი არ მიუძღვით, მას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს კომპენსაცია.[160]მიმწოდებელი პასუხისმგებელია, რომ ქონება იქნება ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მდგომარეობაში და გამოდგება ჩვეულებრივი სარგებლობისთვის.საგულისხმოა, რომ 580[3] I-ისგან განსხვავებით, მოდელური კანონი ლიზინგის საგნის ხარისხის განსაზღვრისას მიწოდების ხელშეკრულებაზე მიუთითებს.[161]

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. საკასაციიო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე[162] სადაც საკითხი ეხება ლიზინგის საგნის ნაკლის გამო პასუხისმგებელი მხარის განსაზღვრავს,

---

[159] ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 14.02.2016, მუხლი 577, ველი 2.
[160]იხ. 2008 წლის 13 ნოემბრის რომის მოდელური კანონის მე-12 მუხლი.
[161]იხ. 2008 წლის 13 ნოემბრის რომის მოდელური კანონის მე-17 მუხლი.;სამოქალაქო კოდექსის მუხლი.580[3]
[162] საქართველოს უზენაესის სასამართლოს განჩინება, 20.06.2016, ას-343-328-201.6

განმარტავს , რომ ლიზინგის საგნის ნაკლის არსებობისას ლიზინგის მიმღებმა უპირველესად დაკმაყოფილება უნდა მოითხოვოს ქონების მიმწოდებლის და არა მიმღებისაგან .ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სტატუსის მატარებელია ლიზინგის გამცემი, ანუ არის თუ არა ლიზინგის საგნის გამცემი იმავდროულად, ლიზინგის საგნის მიმწოდებელიც. აღნიშნულის ხაზგასმა მნიშვნელოვანია, ლიზინგის საგნის ნაკლის გამო, გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის სწორად განსაზღვრისათვის. სსკ-ის 580[1] და 580[3] მუხლების დანაწესი ამ სახის ზიანზე პასუხისმგებელ პირად ცალსახად განიხილავს ლიზინგის საგნის მიმწოდებელ პირს.[163]

აღნიშნულ საქმეში ლიზინგი საგანი და მიმწოდებელი შერჩეული იქნა ლიზინგის მიმღების მიერ დამოუკიდებლად, რაც სასამართლოს განმარტებით გამორიცხავს ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობას ლიზინგის საგნის ან მისი მიწოდების ვადების შესაბამისობაზე ლიზინგის მიმღების მოთხოვნებთან.[164] სასამართლოს შეფასებით ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ლიზინგის გამცემსა და მიმწოდებელს წარმოადგენდა სხვადასხვა პირი, ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობა ლიზინგის საგნის მიწოდების პირობებისა და ლიზინგის საგნის ხარისხის გამო გამოირიცხებოდა.[165]

სამოქალაქო კოდექსის ლიზინგის თავში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებამდე მოქმედი ნორმის რედაქციის მიხედვით ლიზინგის გამცემი ქირავნობის ხელშეკრულების წესების მიხედვით პასუხს აგებდა ლიზინგის მიმღების წინაშე ქონების მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის, აგრეთვე ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის, ამასთან მხარეებს შეეძლოთ შეთანხმებულიყვნენ, რომ ლიზინგის მიმღებს ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვა დაკმაყოფილება ქონების მიმწოდებლისაგან. სწორედ აღნიშნული დანაწესით იხელმძღვანელა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე,[166] ვინაიდან მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის ნივთის ნაკლის გამო პასუხისმგებელი პირის განმსაზღვრელი ნორმის აღნიშნული რედაქცია იყო ძალაში.

---

[163] იქვე , პუნქტი 19 .
[164] იქვე, პუნქტი 20.
[165] იქვე, პუნქტი 22.
[166] საქართველოს უზენაესის სასამართლოს განჩინება ,04.03.2015, ას-1247-1187-2014.

7.2. ლიზინგის საგნის შემთხვევითი დაღუპვისა და დაზიანების ტვირთის გადანაწილება

ლიზინგს საგნის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქონების დაღუპვის ან დაზიანების რისკის ადრესატის განსაზღვისათვის. ლიზინგის საგნის მიღება ლიზინგის ტრანზაქიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ლიზინგის მიმღების მიერ საგანი მიღებლად ითვლება თუ იგი ლიზინგის გამცემს ან მიმწოდებელს დაუდასტურებს ქონების შესაბამისობას მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობებთან, რაც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ან ლიზინგის მიმღები ლიზინგის საგნის შემოწმების გონივრული ვადის გასვლის შემდეგ უარს არ განაცხადებს მის მიღებაზე ან ლიზინგის მიმღები დაიწყებს ლიზინგის საგნით სარგებლობას.[167]ლიზინგის საგნის გონივრულ ვადაში შემოწმება ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიღების დადასტურების აუცილებელ წინაპირობად განიხილება. აშშ-ს სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ ლიზინგის გამცემი არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ მიმღების მიერ მიღებულ წერილობით დადასტურებას.[168]

ქონების მიღების შემდეგ მისი დაღუპვის ან დაზიანების რისკი ლიზინგის მიმღებზე გადადის. მსგავს ჩანაწერს ითვალისწინებდა სალიზინგი საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონიც. აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ აქ იგულისხმება ლიზინგის მიმღების მხრიდან ბრალეული ქმედება, რამაც გამოიწვია ლიზინგის საგნის დაზიანება ან დაღუპვა.ზოგადად, საერთო წესის მიხედვით ლიზინგის საგნის შემთხვევითი დაღუვის ან დაზიანები რისკი კი აწევს მესაკუთრეს.[169]

იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მიმწოდებლის მხრიდან მიწოდების პირობების დარღვევა, ქონების დაღუპვის ან დაზიანების რისკი რჩება მიმწოდებელზე. ამასთან, სსკ-ის580[1] II მითითებას 580[5] -ით გათვალისწინებულ რეგულაციაზე აკეთებს, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

---

[167]იხ.რომის მოდელური კანონის მე-132 მუხლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი , მუხლი 580[1,]

[168] Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Jaz, Inc. v. Foley and First Hawaiian Leasing, Inc., 85 P.3d 1099 (Hawaii Intrmed.Ct. App. 2004), 3.

[169]მლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, 520

7.3 ლიზინგის მიმღების ვალდებულებები

ლიზინგის მიმღებს თავის მხრივ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზიანზე, რომელიც ლიზინგის გამცემის ან მიმწოდებლისთვის გადაცემული ქონების აღწერილობის პირობების დარღვევით გამოიხატება.ლიზინგის მიმღებს ეკისრება ლიზინგის საგანზე ზრუნვის ვალდებულება. კერძოდ, ლიზინგის მიმღებმა სათანადოდ უნდა მოუაროს ლიზინგის საგანს, უნდა გამოიყენოს ის მიზნობრივად, ჩვეულებრივი სარგებლობისთვის განსაზღვრული დანიშნულებით. ლიზინგის მიმღებმა ქონება ისეთივე მდგომარეობაში უნდა შეინარჩუნოს, როგორშიც ის მიიღო. ნორმალური ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.[170]ურთიერთობის მსგავს მომწესრიგებელ ნორმას შეიცავს შეიცავს ოტავის კონვენციაც.[171]ლიზინგის საგნის სარგებლობის პირობები, როგორც წესი, დეტალურად განისაზღვრება ხელშეკრულებით. მწარმოებლის ან მიმწოდებლის მიერ დადგენილი ინსტრუქციები ლიზინგის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილ სწარმოადგენს. შესაბამისად, თუ ლიზინგის მიმღები დაარღვევს ზემოხსენებულ ვალდებულებებს, იგი ლიზინგის გამცემის ან მიმწოდებლის მოთხოვნის ადრესატად წარმოდგება და ვალდებული იქნება ზიანის ანაზღაურებაზე.

7.4.ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა

7.4.1 ლიზინგის გამცემის უფლება მოშალოს ხელშეკრულება

ხელშეკრულების დადებას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული რისკი ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, ამიტომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებელი ლიზინგის გამცემს ანიჭებს უფლებას მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება, თუმცა ეს უფლება შეზღუდულია, ვინაიდან მხოლოდ არსებითი დარღვევის შემთხვევაში ანიჭებს კანონმდებელი ხელშეკრულების მოშლის უფლებას. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ოტავის კონვენციის მიხედვით ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია მოითხოვოს მიუღებელი შემოსავალი, ზიანის ანაზღაურება ან შეწყვიტოს ლიზინგის ხელშეკრულება.[172] ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვისას უნდა მოხდეს უსაფუძვლოდ გამდიდრების პრევენციის გათვალისწინება. აშშ-ს პრაქტიკაში ლიზინგის ხელშეკრულების მხარეები ხშირად, წინასწარ განსაზღვრავენ ზიანის ოდენობას(liqyidated damages clause).ზოგადად, ხელშეკრულების მთავარი ფუნქციაა რეგულირება გაუწიოს

[170] ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 580[4] , ველი 2.

[171]იხ. 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენციის მე- 9 I მუხლი.

[172] 1988 წლის ოტავის კონვენცია, მუხლი13

ადამიანთა ქცევას და გაზარდოს ამ ქცევის წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა.[173]

7.4.2 ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა ლიზინგის მიმღების მიერ

ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება ლიზინგის საგნის მიღებამდე, ხოლო საგნის მიღების შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი წესით ეზღუდება უფლება მოშალოს ხელშეკრულება, გამცემის ან მიმწოდებლის არსებითი დარღვევის შემთხვევაშიც კი. თუმცა, ამ წესიდანაც არსებობს გამონაკლისი, როდესაც გამცემის მიერ ლიზინგის საგნით "შეუფერხებელი სარგებლობის" უზრუნველყოფის ვალდებულების არსებითი დარღვევაა სახეზე.[174] ლიზინგის მიმღები სარგებლობს ლიზინგის საგნის" შეუფერხებელი სარგებლობის უფლებით"(Warranty of quit possession) რაც გაცემის მხრიდან მისთვის გაცხადებული გარანტიით გამოიხატება.[175]

"შეუფერხებელი სარგებლობის" უზრუნველყოფის ვალდებულების დაღვევაში იგულისხმება ის გარემოება, როდესაც ლიზინგის მიმღები, საგნის გადაცემის შემდგომ ვეღარ ახორციელებს მფლობელობას მასზე ან მფლობელობის უფლება იზღუდება იმ პირის მიერ, ვისაც უპირატესი უფლება აქვს ამ ქონებაზე, თუ ეს უფლება და პრეტენზიები გამომდინარეობს ლიზინგის საგნის გამცემისაგან.[176]ლიზინგის საერთაშორისო დოქტრინა და პრაქტიკა იცნობს ლიზინგის მიმღების უპირობო ვალდებულებების კონცეფციას. ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება უპირობო ვალდებულებების განმსაზღვრელი პირობების სამართლიანობის საზომად და ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერების შეფასებით განსახილველი პრინციპი გამოკვეთილად ლიზინგის მიმღების დაცვის ფუნქციას იძენს.[177] მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე აშშ-სასამართლო განმარტა რომ ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საზღაურის გადახდის უპირობო ვალდებულებაზე გავლენას არ ახდენს ლიზინგის გამცემის მხრიდან ვალდებულებების დარღვევა. თუმცა, ლიზინგის მიმღებს შეუძლია ამტკიცოს

[173]Jorgensen St., "Contract as form," Scandinavian Studies in Law, Vol,1996, p.99
[174] 2008 წლის 13 ნოემბრის რომის მოდელური კანონი მე-23 მუხლი.
[175] 2008 წლის 13 ნოემბრის რომის მოდელური კანონი მე-16 მუხლი.
[176] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997,მუხლი 580[5], ნაწილი 2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]
[177] ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576 , ველი 86.

ლიზინგის გამცემის არაკეთილსინდისიერება და აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნის საფუძვლად აქციოს.[178]

ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერების გამსაზღვრელ ერთ-ერთ კრიტერიუმს მიმწოდებლისთვის ლიზინგის საგნის ფასის გადახდა წარმოადგენს. მაგალითად, ერთ-ერთი დავის განხილვისას აშშ-ს სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ლიზინგის გამცემს მიმწოდებლისთვის ლიზინგის საგნის ფასი არ ჰქონდა გადახდილი ლიზინგის მიმღების მიერ ქონების მიღების შემდეგაც. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ლიზინგის მიმღების უპირობო ვალდებულება ლიზინგის გამცემის საწინააღმდეგოდ განმარტა და ეს უკანასკნელი არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენაში ამხილა. [179] ლიზინგის მიმღების უპირობო ვალდებულებები ლიზინგის გამცემის საწინააღმდეგოდ აშშ-ს სასამართლოს მიერ განიმარტა ისეთ შემთხვევაშიც,[180]როდესაც ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების შემდეგ ლიზინგის გამცემმა დააგვიანა ლიზინგი საგნის დაბრუნებისთვის საჭირო მონაცემების მიმღებისთვის გაგზავნა.

ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება,[181] სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტილად გამოცხადება. მოცემულ საქმეში მხარე უთითებდა, რომ სწორედ სამოქალაქო კოდექსის 580[5] II მოწესრიგებული შემთხვევა იყო სახეზე და ლიზინგის მიმღებს უფლება ჰქონდა მოეშალა ხელშეკრულება, ვინაიდან მისთვის ლიზინგის საგნის ჩამორთმევა ლიზინგის გამცემის მიერ განორციელდა უკანონოდ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ასეთ გამონაკლისად კანონი განიხილავს 580[5] მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ

---

[178] Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Harte-Hanks Direct Marketing/Baltimore, Inc. v. Varilease Technology Finance Group, Inc., 299 F.Supp.2d 505 (D. Md. 2004),

[179] Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Eureka Broadband Corporation v. Wentworth Leasing Corporation, 400 F.3d 62 (1st Cir. 2005), 1

[180] Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Relational Funding Corporation v. TCIM Services, Inc., 2004 WL 392875 (U.S.Dist.Ct. D. Del. February 24, 2004), 2,

[181] უზენაესი სასამართლოს განჩინება, 10.01.2016., №ას-343-328-2016 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [25.05.2019]

შემთხვევას, როდესაც მფლობელობის უფლების შეზღუდვა ხდება უპირატესი უფლების მქონე პირის მიერ და თუკი ეს უფლება და პრეტენზიები გამომდინარეობს ლიზინგის გამცემის ბრალეული ქმედებიდან. სააპელაციო პალატამ ყურადღება შეაჩერა ამ ნორმის მაკვალიფიცირებელ ძირითად გარემოებებზე. კერძოდ, ლიზინგის საგნის მფლობელობის შეზღუდვა უნდა ხდებოდეს მესამე პირის მხრიდან და არა ლიზინგის მიმღების მხრიდან, რომელიც ლიზინგის საგნის მიმართ სარგებლობს უკეთესი უფლებით და ეს უფლება და პრეტენზიები უნდა გამომდინარეობდეს ლიზინგის გამცემის ბრალეული ქმედებიდან.[182] ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც ლიზინგის გამცემი არსებითად არღვევს არღვევს თავის ვალდებულებას, ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება და არა ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა.[183]ლიზინგის მიმღებს მართალია შეზღუდული აქვს ხელშეკრულების მოშლის უფლება, თუმცა მას უნარჩუნდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ლიზინგის მიმღების მხრიდან ვალდებულების არსებითად დარღვევის შემთხვევაში.[184]

აღნიშნულ საქმეზე უდავო ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგნის მფლობელობა მისი ჩამორთმევით, დააკარგვინა არა მესამე პირმა რაიმე უკეთესი უფლების და შესაბამისი პრეტენზიის წარდგენის გზით, არამედ უშუალოდ ლიზინგის გამცემმა. სასამართლომ იმსჯელა ასევე ლიზინის გამცემის მართლზომიერების საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგის საგნის ჩამორთმევა თავდაპირველი მოსარჩელის მიერ განხორციელდა გაფრთხილების ვალდებულების შეტყობინების დარღვევით, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ლიზინგის გამცემის მიერ მიმღებისათვის ლიზინგის საგნის ჩამორთმევა მაინც არ წარმოადგენს მისი მხრიდან არამართლზომიერ და 280[5]-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ბრალეულ ქმედებას, ვინაიდან ლიზინგის საგნის ჩამორთმევა გამოწვეულია ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით, რაც ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მას ანიჭებდა ამ ქმედების განხორციელების საფუძველს. ის, რომ ეს ქმედება ლიზინგის გამცემმა განახორციელა გაფრთხილების ვალდებულების გარეშე, აღნიშნული არ განაპირობებს ლიზინგის საგნის ჩამორთმევის შესახებ ქმედების არამართლზომიერებას, რამდენადაც, პალატის შეფასებით, გაფრთხილების

---

[182]იქვე, პუნქტები 23-27, 94.

[183] იქვე, პუნქტი 28.

[184] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997,მუხლი 580[5] , ნაწილი 2.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]

ვალდებულების დარღვევა მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს პროცედურული ხასიათის დარღვევას და იგი ვერ იქნება მთავარი მაკვალიფიცირებელი ლიზინგის საგნის ჩამორთმევის შესახებ ქმედების არამართლზომიერად მიჩნევისათვის.[185] შესაბამისად, გამოირიცხება იმ მეორე აუცილებელი წინაპირობის არსებობაც, რომ უკეთესი უფლების და შესაბამისი პრეტენზიის წარმოშობა მესამე პირისათვის გამოწვეული უნდა იყოს ლიზინგის გამცემის ბრალეული ქმედებით. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სავსებით სწორად მიუთითა სსკ-ის 579-ე და 580[5] მუხლების დანაწესზე, კერძოდ, ლიზინგის ხელშეკრულებით არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე იმ მიზეზით, რომ მეორე მხარე არ ასრულებს თავის ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიზინგის მიმღების მფლობელობის უფლება იზღუდება ამ კოდექსის 580[5] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.[186]

580[5] II მუხლთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული ასევე სამოქალაქო კოდექსის 579-ე მუხლი,რომლის მიხედვითაც ლიზინგის ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ მეორე მხარე არ ასრულებს თავის ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიზინგის მიმღების უფლება იზღუდება სამოქალაქო კოდექსის 580[5] მე-2 ნაწილის შესაბამისად.აღნიშნული დანაწესით კანონმდებლის მიზანია მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას და მხარეთა მიერ დასახული მიზნების რეალიზაციას.[187]გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი ნორმით დაწესებული შეზღუდვა საგამონაკლისო დათქმას მოიცავს და მიუთითებს 580[5] II-ზე. 579-ში დადგენილი წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ლიზინგის მიმღების მფლობელობის უფლება იზღუდება. შესაბამისად, 580[5] II აყალიბებს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენებისთვის. მოყვანილი დანაწესის განმარტებისას მნიშვნელოვანია ლიზინგის გამცემის ბრალეული ქმედების, როგორც ნორმის აუცილებელი ელემენტის, გათვალისწინება. ლიზინგის ხელშეკრულებით, ლიზინგის გამცემი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს ლიზინგის

[185] უზენაესი სასამართლოს განჩინება, 10.01.2016.პუნქტი 37, №ას-343-328-2016 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [25.05.2019]
[186] იქვე, პუნქტი 92
[187] ირემაშვილი ქ.,სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 579, ველი2.

მიმღების მიერ მფლობელობის უფლების შეუფერხებლად განხორციელება. როგორც ოტავის კონვენცია, ისე მოდელური კანონი განამტკიცებს ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნით „შეუფერხებელი სარგებლობის“ (Quiet possession warranty) უფლებას. შესაბამისად, ლიზინგის გამცემის მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიკანონმდებელი ლიზინგის მიმღების ინტერესს იცავს.

VIII.ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნება და მისი საკანონმდებლო რეგულაცია

8.1.ლიზინგის საგნის დაბრუნება სალიზინგო მოწმობის საფუძველზე

ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს უფლება აქვს ქონება დაიბრუნოს მფლობელობაში. ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნება სალიზინგო მოწმობის საფუძველზე სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 2017 წლის 1 ნოემბრიდან გახდა შესაძლებელი. იგი აღსრულებას დაქვემდებარებული აქტია,[188] რომლის გაცემასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს შინაგან საქმეთა მომსახურების სააგენტო. სალიზინგო მოწმობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებადი საგნის შემთხვევაში,კერძოდ, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ლიზინგის რეგისტრაციას სააგენტოში ლიზინგის გამცემზე რეგისტრირებულ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე.[189]

---

[188] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 580[8], ნაწილი 2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]. იხ.ასევე: 1.საქართველოს მინისტრის ბრძანება N 892 “ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 02.07.2007;მუხლი 2, პუნქტი ‘უ’

[189]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 580[7], ნაწილი 1.; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019]. იხ.ასევე:საქართველოს მინისტრის ბრძანება N 892 “ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი

სალიზინგო მოწმობა ლიზინგის გამცემს უმარტივებს იმ პროცედურას, რაც დაკავშირებულია საგნის მფლობელობაში დაბრუნებასთან და გაცილებით ნაკლებ დროში აღწევს შედეგს. ამ შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, პირდაპირ სააღსრულებლო ორგანოსათვის ლიზინგის მოწმობის წარგენით ხდება ლიზინგის გამცემისათვის საგნის მფლობელობაში დაბრუნება და ეს მოთხოვნა ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას [190] ისევე როგორც სასამართლოს ბრძნება ლიზინგის საგნის დსბრუნების თაობაზე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. ამასთან სალიზინგო მოწმობის გასაჩივრება არ იწვევს აღსრულების პროცესის შეჩერებას. მომსახურების სააგენტოსთვის სალიზინგო მოწმობის გაცემის თაობაზე მოთხოვნის მართლზომიერებაზე პასუხისმგებელია ლიზინგის გამცემი.

წამყვანი სალიზინგო კომპანიები თავს არიდებენ ლიზინგის საგნის მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას მაღალ ხარჯის გამო, შესაბამისად, სალიზინგო მოწმობის საშუალებით ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნება არც თუ ისე ხშირია.

8.2. ლიზინგის მფლობელობაში დაბრუნება სასამართლოსთვის მიმართის გზით

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში დაბრუნების თაობაზე საქმისწარმოება ხორციელდება გამარტივებული წესით, სასამართლოში განცხადების შეტანის გზით. ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი გამარტივებული წარმოების სხვა სახეების მსგავსად, ალტენატიული სახის სამოქალაქო სამართალწარმოებაა და თუ კი ლიზინგის გამცემი თვლის რომ მისი დარღვეული უფლების დაცვს ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სარჩელი, მას უფლება აქვს მოთხოვნა სასამართლოში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე წარადგინოს სარჩელის გზით.[191] განცხადება სასამართლოს წარედგინება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ამ შემთხვევაში არ გამოყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული განსაკუთრებული განსჯადობის წესი.[192] გამარტივებული კატეგორიის საქმეებს კი მაგისტრატი

მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 02.07.2007;მუხლი 2, პუნქტი ‘ტ’.

[191]თაბაგარი ა., სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობა პროცესუალუად, ადამიანი და კონსტიტუცია, N2, 2004, 97.

[192] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, 31.01.2019, 2/1431-19;

მოსამართლეები განიხლავენ, მიუხედავად დავის საგნის ღირებულებისა.[193] სასამართლო პრაქტიკაც[194] ამ წესით მოქმედებს და მსგავსი მიდგომა არსებობს ამ საკითხისადმი უზენაესი სასამართლოს მხრიდანაც,[195] თუმცა არსებობს პრეცენდენტები, როდესაც ლიზინგის საგნის ძვირადღირებულება გამხდარა საქმის არამაგისტრატის გამსჯადად მიჩნევის მიზეზი.[196]

8.2.1. სახელწიფო ბაჟის განსაზღვრის საკითხი

8.2.1.1 ლიზინგის საგნის შეფასება და დამკვიდრებული მიდგომა

სახელმწიფო ბაჟის გამოსათვლელად პირველ რიგში უნდა დადგინდეს ლიზინგის საგნის ღირებულება, ამისათვის კი შემდეგ მეთოდებს მიმართავენ: ქონებას აფასებენ ლიზინგის ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობით, როდესაც ნივთს ჯერ კიდევ ლიზინგის გამცემი ფლობდა[197] ან შეფასება ხდება ბაზარზე არსებული გვაროვნული ნივთების საბაზრო ღირებულების შედარების საფუძველზე. შეფასების ეს მეთოდები ვერ იძლევა ზუსტ წარმოდგენას იმაზე თუ განცხადების წარდგენის მომენტისათვის რა მდგომარეობაშია დავის საგანი. ლიზინგით ქონების გადაცემის შემდგომ ლიზინგის საგნის ღირებულება დამოკიდებულია მისი სწორი გამოყენების, სათანადო მოვლა პატრონობის ხარისხზე ,რისი

განსხ. აზრი იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, დეკემბერი, 2010, 105, 106. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/Praqtikulirekomendacebi6-12-2010.pdf> [30.06.2019].

[193] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 29.11.2018, 2ბ/5741-18;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, დეკემბერი, 2010, 27. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/Praqtikulirekomendacebi6 -12-2010.pdf> [05.06.2019].

[194] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 09.01.2019, 2/30-19.

[195] საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, დეკემბერი, 2010, 26, 27, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/Praqtikulirekomendacebi6-12-2010.pdf> [05.06.2019].

[196] ტყიბულის მაგისტრატი სასამართლოს განჩინება, 01.02.2018, 2/5-18; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 12.04.2018, 2/ბ-232./

[197] ასეთ დროს შესაძლებელია იმ ნასყიდობის ხელშეკრულების წარდგენა , რომლითაც ლიზინგის გამცემმა შეიძინა ეს კონკრეტული ნივთი.
ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოს ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 16.10.2018, 2/691-2018.

ვალდებულებაც ლიზინგის მიმღებს ეკისრება.[198]თუმცა შესაძლოა, ლიზინგის მიმღების ამ ვალდებულებს დარღვევის და საგნისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო საერთოდ განადგურებული იყოს საგანი. ეს საკითხი ლიზინგის გამცემისთვის, განსაკუთრებით სალიზინგო კომპანიებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან მას უძვირდება სახელმწიფო ბაჟი.

ლიზინგის გამცემი სასამართლოს მიმართავს რათა დაიბრუნოს ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალიწინებული კონკრეტული მახასიათებლების მქონე ნივთი, ხოლო დამკვიდრებული მიდგომით კი გამცემი ვალდებულია ისე განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება, თითქოს უშუალოდ იყოს მფლობელი და იცოდეს ნივთის რეალური ღირებულება. ლიზინგის გამცემს ქონების რეალურ ღირებულებაზე წარმოდგენა ვერ ექნება მანამ სანამ იგი მის მფლობელობაში არ აღმოჩნდება, ვინაიდან ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში ლიზინგის საგანს ლიზინგის მიღების უწყვეტად ფლობს.

8.2.1.2. სახელმწიფო ბაჟის 60 ლარიანი სტანდარტის დამკვიდრება სასამართლო პრაქტიკაში

სახელმწიფო ბაჟის 60 ლარიანი ბაჟის სტანდარტის გამოყენებისას განსხვავებული პრაქტიკა ჩამოყალიბდა.[199] თბილისის სააპელაციო სასამართლომ[200] დაკმაყოფილდა კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა ლიზინგის საგნის 4 000 ლარითა და შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის 60 ლარით განსაზღვრის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინების შემდგომ სახელმწიფო ბაჟის 60 ლარით განსაზღვრის პრაქტიკა ჩამოყალიბდა. [201]სასამართლომ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზე, ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნების დროს ლიზინგის გამცემის მრიდან შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა, შესაბამისად სასამართლომ უნდა

---

[198] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997,მუხლი 580[4] ,ნაწილი 2, 26.06.1997.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019].

[199] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 17.10.2018, 2/29925-18;
ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 11.09.2018, 2-3724-18;
განსხ. აზრი იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე უარის თქმის შესახებ, 17.10.2018, 2/29921-18.

[200] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, 10.01.2019, 2ბ/6929-18.

[201] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანებები და სააღსრულებლო ფურცლები, 25.03.2019, 2/5856-19; 20.03.2019, 2/5421-19; 19.03.2019, 2/5384-19.

იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41 I კ მუხლით, ღირებულება უნდა განისაზღვროს 4 000 ლარით, ხოლო მისი 3 %[202](120 ლარი) თავის მხრივ, როგორც მაგისტრატის განსჯადი, უნდა განახევრდეს და სახელმწიფო ბაჟის ოდენობად უნდა განისაზღვროს 60 ლარი.[203]

ლიზინგით გაცემული ქონების დაბრუნებისას დავის საგნის ოდენობა 4 000 ლარით უნდა შეფასდეს შემდეგი ორი მიზეზის გამო:

1) ლიზინგის გამცემის მხრიდან შეუძლებელია ლიზინგის საგნის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

ლიზინგის მიმღებისათვის საგნის გადაცემის შემდგომ ლიზინგის გამცემს აქვს შეზღუდული მფლობელობა, ვინაიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნივთს ვერ დაიბრუნებს,[204]საბაზრო ღირებულების დადგენის ან თუნდაც ტექნიკური ინსპექტირების ჩატარების მიზნით.[205] კანონმდებელი ლიზინგის მიმღებს უფლებას ანიჭებს მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება, თუ ლიზინგის მიმღები „ვეღარ ახორციელებს მფლობელობას ლიზინგის საგანზე“.[206]ლიზინგის მიმღების უფლებას ლიზინგის საგნის შეუფერხებლად სარგებლობის შესახებ ამტკიცებს ოტავის კონვენციაც და რომის მოდელური კანონებიც.[207] შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემს მხოლოდ ბრძანებისა და სააღსრულებლო ფურცლის, ან ლიზინგის მოწმობის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნება.

2) არ მოქმედებს ე.წ. Numerus Clausus-ის პრინციპი

დავის საგნის ოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს„4 000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის

---

[202] სსსკ 39.2

[203] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, 10.01.2019, 2ბ/6929-18.

[204] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997მუხლი 580[5] ნაწილი 2,

[205] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებები: 04.12.2018, 4/8878-18; 15.10.2018, 4/7503-18. დადგენილებებით სასამართლომ სალიზინგო კომპანიას გუუქმა პატრულის მიერ გამოწერილი ჯარიმა ლიზინგის საგანზე (ავტომანქანაზე) ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობის გამო. გაუქმების სამართლებრივი საფუძველია სწორედ ის, რომ ლიზინგის გამცემს ეზღუდება მფლობელობის უფლება ლიზინგის საგანზე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

[206] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, მუხლი 580[5] ნაწილი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>[31.06.2019].

[207] ოტავის კონვენცია, 28.05.1988, მუხლი 8 პუნქტი 2.
რომის მოდელური კანონი, 13.11.2008, მუხლი 16.

განსაზღვრა“.[208]ლიზინგის საგნის დაბრუნებისას სახეზეა ქონებრივ-სამართლებრივი დავა. დავა ქონებრივ-სამართლებრივია მაშინაც, თუ მოთხოვნა მიმართულია ქონებრივ უფლებაზე ან ფულადი ღირებულების მქონე ნივთებზე.[209]ლიზინგის საგნის დაბრუნება სასამართლოში წარიმართება განცხადების შეტანის გზით, თუმცა გამარტივებული წარმოება უდავო წარმოებასთან არ იგივდება.[210] აღნიშნულ ნორმაზე არ მოქმედებს Numerus Clausus-ის პრინციპი, იგი არ გულისხმობს ამომწურავ ჩამონათვალს. შესაბამისად,ნორმის მოქმედება უნდა გავრცელდეს ყველა იმ სამართლებრივ მდგომარეობაზე, როდესაც ობიექტურად ვერ ხერხდება დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა.

---

[208] ხურცილავა რ., გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2009, 187. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000385/disertacia-robizon%20xurcilava.pdf> [30.06.2019];

[209] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, სამოტივაციო ნაწილი. 14.02.2011; ას-1323-1166-2010.

[210]თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 26.11.2012, №2ბ/3630-12, 5. <http://library.court.ge/judgements/84442016-09-26.pdf> [06.03.2019].

IX.დასკვნა

ნაშრომში განხორციელდა უპირატესად ქართული და საერთაშორისო ნორმების, პრაქტიკის გაანალიზება, რაც მკითხველს უქმნის წარმოდგენას როგორც სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებთან,ასევე ზოგადად, ლიზინგის ქართულ საკანონმდებლო მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ცალსახაა, რომ ქართული როგორც იურიდიული ლიტერატურა, ასევე სასამართლო პრაქტიკაც მწირია და არათანმიმდევრულია ლიზინგთან დაკავშირებით, ეს კი განპირობებულია იმ გარემობით, რომ ლიზინგი ახალი ინსტიტუტია ქართული რეალობისთვის, აქტუალობას თანდათან იძენს და მისი განვითარებისათვის აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის განვითარებაც. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ ინოვაციური ინსტიტუტის არსის არასწორ აღქმას აქვს ადგილი. გამოიკვეთა იმ მსგავსება-განსხვავებები, რაც მას სხვა ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებებთან აკავშირებს და განასხვავებს. პრაქტიკის საფუძველზე გაირკვა, რომ საკმაოდ ხშირია სასამართლოს მიერ ლიზინგის სესხად კვალიფიკაცია, რაც პირველ რიგში ლიზინგის არაერთგვაროვანი ბუნების არასწორი გაგებით არის განპირობებული. სასამართლო შეცდომას უშვებს როდესაც ლიზინგს სესხთან ერთად მის უზრუნველსაყოფად განხორციელებულ რეგისტრირებად გირავნობად განიხლავს და ამგვარი კვალიფიკაციის მიზეზად ასახელებს ხელშეკრულების წლიური საპროცენტო ოდენობას ან ხელშეკრულების კომერციულ მიზანს.

პრობლემა როგორც ლიზინგის განმარტებაში ,მისი არსის სწორად გაგებაში, ისე სასამართლო პრაქტიკის წინააღმდეგობრიობასა და არაერთგვაროვნებაშია. აღნიშნული კი ართულებს მართლმსაჯულების განხორციელებას, აფერხებს სამოქალაქო ბრუნვას და ქმნის უსამართლობის განცდას. წინამდებარე კვლევამ ცხადყო, რომ საქმის იგივეობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ლიზინგთან დაკავშირებული სარჩელებისა თუ განცხადებების სასამართლო პერსპექტივის განჭვრეტა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად კი აუცილებელია ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რაც თავის მხრივ სტაბილურ სამეწარმეო საქმინობასაც შეუწყობს ხელს.

ნაშრომში განხილული იქნა ლიზინგის სახეები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფინანსურ, საოპერაციო და უკულიზინგზე, ვინაიდან ისინი პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება. ასევე განისაზღვრა მათი სპეციფიკა, ერთმანეთისგან გამიჯვნის კრიტერიმები. შეიძლება ითქვას, რომ ლიზინგის სხვა სახეებისგან განსხვავებით, სწორედ აღნიშნული სახეების საკანონმდებლო რეგულაციას შეიძება ქონდეს

პრაქტიკული მნიშვნელობა.მხარეთა უფლება-მოვალელეობებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ ლიზინგის მიმღებს ძალზედ შეზღუდული აქვს ხელშეკრულების მოშლის უფლება, განსხვავებით ლიზინგის გამცემისაგან და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება მოშალოს სამართლებრივი ურთიერთობა თუ „შეუფერხებელი სარგებლობის“ უზრუნველყოფის არსებითი დარღვევაა სახეზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართული სასამართლო პრაქტიკა, მიუხედავად მისი სიმწირისა, თანხვედრაშია კანონდებლის დანაწესთან. რაც შეეხება აშშ-ს სასამართლოს, იგი კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით ცდილობს დაიცვას ლიზინგის მიმღების ინტერესები გაცემის მხრიდან უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან.

სამოქალაქო და საგადასახადი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას ,რომ უძრავი ქონების ლიზინგი საჭიროებს უფრო დეტალურ მოწესრიგებას, ამორტიზაციასთან დაკავშირებული შეზღუდვის გამო.ასევე, გამოიკვეთა საჯარო რეესტრში რეგისტრირებადი უფლების უპირატესობა შინაგან საქმეთა სამინისტროში რეგისტრირებად ლიზინგის უფლებასთან მიმართებით, რაც ლიზინგის გამცემს უფლებას აძლევს ლიზინგის მიმღების არამართლზომიერი გასხვისების გამო თავიდან აიცილოს კეთილსინდისიერი შემძენის არსებობა. ნაშრომზე მუშაობისას განხილული იქნა ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნების სამართლებრივი საშუალებები, პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა დადებითი ტენდენცია სახელმწიფო ბაჟის 60 ლარიანი სტანდარტით განსაზღვრის შესახებ.

X.ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102 [31.06.2019]
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 12/10/2010,. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=149> [31.06.2019]
- საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, 16/06/2003, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/12580?publication=35 [30.06.2019]
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება N6-26 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ“, 26.12.2017;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N18/04 „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესის დამტკიცების თაობაზე“, 05.02.2019;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N1/04 „უკანონო შემოსავლის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის საყურადღებო ზონების ნუსხის დადგენის თაობაზე“, 09.01.2017;
- საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება N2 „სალიზინგო კომპანიების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 05.09.2013;
- საჯარო რეესტრის შესახებ“საქართველოს კანონი, სსმ, 41, 30/12/2008 ,მე-11 მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=23[31.06.2019]
- საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, 28/05/2002, ძალადაკარგულია, 31.10.2011. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1[31.06.2019]
- საქართველოს მინისტრის ბრძანება N 892“ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 02.07.2007;

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, <https://saras.gov.ge/Content/files/Final-IFRS_for_SMEs_2017_%2017-october.pdf> [28.03.2019];
- საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია. https://www.jus.uio.no/lm/unidroit.financial.leasing.convention.1988/landscape.letter.pdf [25.04.2019]
- რომის მოდელური კანონი 13.11.2018. https://www.unidroit.org/english/documents/2008/study59a/s-59a-17-e.pdf[25.05.2019]

სამეცნიერო ლიტერატურა:

- ბარბაქაძე ხ., ლიზინგი - საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება,2017, http://eprints.tsu.ge/1212/1/Leasing%20-%20The%20Possibility%20for%20Optimization%20of%20Tax%20Process.pdf [30.04.2019];
- ბერიშვილი ხ,. საქართველოში ლიზინგის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერპექტივები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
- გეფერიძე დ., საჰაერო ხომალდის ლიზინგი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამართალი, N11-12, 2003, <http://intlaw.ge/old/publikaciebi/statia%206.PDF> [30.04.2019];
- ენცო ლ. ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002.
- თაბაგარი ა., სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობა პროცესუალუად, ადამიანი და კონსტიტუცია, N2, 2004,
- ლაფაჩი ე,. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებაზე და დაცვაზე,სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,2016.
- ზარანდია თ., საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნითებზე. საკუთრების წარმოშობა მექანიკურ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. ნორმათა კოლიზია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf >[30.04.2019];
- ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი,2005
- ზოიძე ბ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი,1999;
- ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003;
- იმედაშვილი გ., ხარაიშვილი ს., საჰაერო ხომალდის სალიზინგო ხელშეკრულება, სამართალი, N1-2, 2006;

- ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576.
- ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 14.02.2016, მუხლი 577.
- ირემაშვილი ქ.,სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 579.
- ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 580[1].
- ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 5804 ;
- კახაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV,ტ. I, თბილისი, 2001.
- კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008,. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000390/vasil%20kikutadze%2C%20disert..pdf[07.04.2019]
- კერესელიძე დ,. უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009;
- მეშველიშვილი ს., სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N4(39), 2013;
- მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, რედ. გურგენიძე ვ., თბილისი, 2004;
- ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, <http://nccl.ge/m/u/ck/files/Tax%20Code%20Commentaries%20I(1).pdf [30.04.2019];
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, დეკემბერი, 2010,<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/Praqtikulirekomendacebi6-12-2010.pdf> [30.04.2019];
- რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხლი 255.
- ტაკაშვილი ს., მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, ;
- ქოქრაშვილი ქ., საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი და მისი დამკვიდრების რეალური ასპექტები საქართველოში, სამართალი, 3, 2001;
- ღუდუშაური ა., ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი, სამართალი, N11-12, 1993;

- ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE, 27.05.2016, მუხლი 509.
- ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002;
- ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი,2012.
- ჭანტურია ლ. , სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი,თბილისი, 2011,
- ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 22.02.2016, მუხლი581.
- ხურცილავა რ., გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2009. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000385/disertacia-robizon%20xurcilava.pdf [30.04.2019];
- Australian Accounting Standards Board, AASB 117, 01.12.2009, 14,<https://www.aasb.gov.au/admin/file/content105/c9/AASB117_07-04_COMPjun09_01-10.pdf> [30.04.2019].
- Boobyer Ch, Leasing and Asset Finance: The Comprehensive Guide for Practitioners, 4th ed, London: Euromoney, 2003;
- Claudiu Iulian Lesni, The Lease Contract, Contemporary Readings in Law and Social Justice Volume 4(2), 2012, 900.;
- Chandraiah E, Evaluation of lease financing, New Delhi Concept Publ. 2004, ;
- DEELEN LINDA,Dupleich Mauricio,Otheino Lous,Wakelin Oliver, "Leasing for small and Micro Enterprices" A Guide for designing and managing leasing schemesin developing countries,inlabour Office, 2003.;
- DRS Curusamy, "Financial Servises" 2nd edition,published by the Tata Mcgraw hill education private limited, First reprint, 2009,142.
- Jiazhuo G Wang; Juan Yang, Financing without Bank Loans : New Alternatives for Funding SMEs in China, Springer Singapore, 2016, 109.
- Jorgensen St., "Contract as form," Scandinavian Studies in Law, Vol,1996;
- Kronke H. , Financial Leasing and its Unification by UNIDROIT – General Report, Uniform Law Review, 2011-1/2.https://academic.oup.com/ulr/article/16/1-2/23/1727362[25.06.2019]
- Magnus Ulrich,Globa Trade Law " International business law of the United Nation and Unidroid Collection of Uncitral's Conventions, model acts, Guides and principes"European law Publishers, 2004,
- Peters L., International Institute for Unification of Private Law, Wolters Kluwer, Law &Business,2011.
- Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005.

- Ronald C. C. Cuming, Model Rules for Lease Financing: A Possible Complement to the UNIDROIT Convention on International Financial Leasing, 3 Unif. L. Rev. n.s., 1998, 378;
- Roshi U., A Legal Analysis Of Financial Leasing And Its Unification By Unidroid, European International Virtual Congress Of Researches,ISSN 2059-2752,2016.19 https://www.idpublications.org/wp-content/uploads/2016/03/Full-Paper-A-LEGAL-ANALYSIS-OF-FINANCIAL-LEASING-AND-ITS-UNIFICATION-BY-UNIDROIT.pdf [28.06.2019]
- Vitaly S. Guzhva, Sunder Raghavan, Damon J. D'Agostino, Aircraft Leasing and Financing: Tools for Success in International Aircraft Acquisition and Management, 2018.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 11.09.2018, 2-3724-18;
- გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს დადგენილება,21.01.2019,N4-456/18.
- ზესტაფონის რაიონული სასამართლოს ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 19.02.2019, 2/71-2019;
- ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განჩინება, 02.04.2018, 2/327-18;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 25.03.2019, 2/5856-19;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანება და სააღსრილებლო ფურცელი, 20.03.2019, 2/5421-19;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 19.03.2019, 2/5384-19;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, 31.01.2019, 2/1431-19;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, 10.01.2019, 2ბ/6929-18;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 18.07.2018,2ბ/1286-18. .
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 09.01.2019, 2/30-19;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 04.12.2018, 4/8878-18;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 29.11.2018, 2ბ/5741-18;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 29.11.2018, 2ბ/5741-18;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 26.11.2018, 4/8876-18;

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე უარის თქმის შესახებ, 17.10.2018, 2/29921-18;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 17.10.2018, 2/29925-18;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 15.10.2018, 4/7503-18;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 21.12.2018, 4/9450-18 .
- ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოს ბრძანება და სააღსრულებლო ფურცელი, 16.10.2018, 2/691-2018;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 20.02.2019, 2/ბ-1246-2018;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბრძანება და სააღსრულებო ფურცელი, 07.03.2019, 2/448-19;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 15.11.2018; 2/ბ-706;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 18.09.2018; 2/ბ-839-2018;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 19.06.2018, 2/ბ-494-2018;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, 12.04.2018, 2/ბ-232;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 19.09.2017, 2/ბ-706;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 09.09.2002, 3კ-624-02;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 12.02.2018, №ას-691-1021-07.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 08.11.2002, N 3კ-771-02 .
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, 28.02.2013, #ბს-367-363 (კ-12).
- საქართველოს უზენაესის სასამართლოს განჩინება, 20.06.2016, ას-343-328-2016;
- საქართველოს უზენაესის სასამართლოს განჩინება, 04.03.2015, ას-1247-1187-2014.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 14.02.2011, ას-1323-1166-2010.
- საჩხერის რაიონული სასამართლოს განჩინება 03.05.2019, 2/127-19
- ტყიბულის მაგისტრატი სასამართლოს განჩინება, 01.02.2018, 2/5-18;

ინტერნეტ-წყაროები

- http://info.court.ge/Login.aspx
- http://temida.mylaw.ge/
- http://supremecourt.ge/
- http://www.sa.gov.ge/
- https://iuristebi.wordpress.com/
- http://lawlibrary.info/
- https://elawjournal.wordpress.com/
- https://www.aasb.gov.au/admin/file/content105/c9/AASB117_07-04_COMPjun09_01-10.pdf>
- https://leasing.ge/
- http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation
- <https://efinancemanagement.com/sources-of-finance/difference-between-operating-and-financial-lease>